№ 9 XXII

911 841
ბ-40

სექტემბერი, 1911 წ.

# შინაარსი

## ჟურნალ „ჯეჯილისა“


I სურათი, პატარა ცემი. . . . . 490
II მელია და ჩიტი შ. მდვიმელისა . . . . . 491
III მოამაგე ვირი ამბავი ს. წერეთლისა . . . . . 492
IV ექიმი ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმი ვინმე ქალი 495
V კიბოს მოგზაურობა ფრანგულიდან ტასოსი . . 501
VI ნათელ-თევზა ა. ფ.-სი . . . . . 505
VII მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი მოთხრობა ლუი პერგოსი თარგ. ფრანგულიდან ელ. დემოდინ-წერეთლისა . . . . . 510

VIII სურათი—ლექსი დ. თურდოსპირელისა . . . . . 517
IX ალექსანდრე მაკედონელი, დასასრული ივ. გომართელისა 518
X მარილი (გადმოკეთებული) ნ. წუწუნავასი . . . . 524
XI ჯეკი. ცეცხლის მჭრობელი რაზმის ძაღლი (დასასრული შემდეგ) თარგმანი ეკ. მესხისა . . . . . 529
XII ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი—ვაჭრები—ბერლინისა თარგმანი ს. წერეთლისა . . . . . 538
XIII ორი ბავშვი (სოფლის ექიმის ცხოვრებიდან) შემდეგი იქნება თარგმანი ივ. ნაკაშიძისა . . . . . 542
XIV თავის მოვლა (შემდეგი) ივ. გომართელისა . . . . . 547


---


იბეჭდება და მალე დაურიგდებათ ჯეჯილის ხელის მომწერლებს
(ვისაც ჟურნალის წლიური ფასი სრულად აქვთ შეტანილი)

## საჩუქრათ «ღვთის წყალობა»

დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

---

რედაქციაში იყიდება ჯეჯილის სრული 18 წლის გამოცემა (დარჩენილია მხოლოთ 15 სერია), რომელიც შეადგენს 160 წიგნზე მეტს, გაგზავნით სხვა და სხვა ქალაქებში ეღირება 32 მან. სასწავლებლებს, რომელნიც თითონ წააღებინებენ, რედაქციიდან დაეთმობათ 28 მანეთათ.

---

„ჯეჯილის“ რედ—ში იყიდება მომდეგი ახალი გამოცემა:

„ცხოველების გამჭრიახობა“ . . . . . 25 კ.
„ბატონ-ყმობის გაუქმება“ . . . . . 12 კ.

# საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იხარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

სექტემბერი, 1911

✦ წელიწადი მეოცდათორე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, ხრანის ქ. № 12.
1911

## პ ა ტ ა რ ა ც ე მ ი

საზაფხულო სამეოფი ექ. ვახტანგ დამბაშიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მელია და ჩიტი.



ჩიტმა ჰკითხა ერთხელ მელას,
სწორედ მითხარ მელიაო:
ნეტა რისი მაქნისია
კუდი რომ გაქვს გმელიაო?
— შე სულელო, მე ამ კუდით
ვიგერიებ ყველასაო
და მიტომაც მეძახიან
მატყუარა მელასაო.
ზოგს საძარეს უთხრი მითი
ზოგსაც უჩენ სველასაო,
რიგს უმზადებ ნელა ნელა
ჩუმათ სახრჩობელასაო.
როცა სადმე გაჭირდება,
საქმე გამიძნელდებაო,
მაშინ უფრო ჩემი კუდი
ფუვდება და გრძელდებაო.
ვინც-კი გაძალმედევნება
და გადმოსდგამს ჩემსკენ ფეხსო,
ის კუდზე კბილს ვერ მომავლებს,
თავათ კისერს მოიტეხსო.
მელას კუდს ჰგავს ზოგიერთა
გაიძვერა კაცის ენა,
აქეთ იქით ასარსარებს
და უფსკრულში გღუპავს შენა.

**ზ. მღვიმელი.**

# მოამაგე ვირი.

ემოდგომის ღრუბლიანი დღეა, გაჩაღებული სიმინდის ტეხაა. მე გამოვეპარე ბიძა ჩემს, გამოვედი შარა გზაზე სასეირნოთ, მინდოდა მიმეხედ—მომეხედნა.

შემხვდა ერთი დედაკაცი, რომელსაც, გაგონილი მქონდა, ფეფენას ეძახოდენ. მას მოჰყავდა სახედარი სიმინდით სავსე გოდრებ აკიდებული. მას სახეზე ეტყობოდა, მიღებული კარგი მოსავლით, სიამოვნება. მაგრამ მისი ვირი ისე ზლაზნით შეუდგა აღმართს, რომ ფეფენას უცბათ ფერი ეცვალა. ვირი ქვშვინავდა, სულს ძლივს იბრუნებდა და ისე გამოიუურებოდა—გეგონებოდათ ასი წლისაოო. აშკარა იყო ტვირთის ზიდვას ვერ შესძლებდა. ფეფენამ მიიხედა ბუჩქებისაკენ და მერე ძოხსნა აუარებელი ფუჩეჩი, რომელიც კალათებზე ზემოდან მიკრული იყო და წაიღო ბუჩქებში მისამალ ათ. ეტყობოდა რომ ამითი ვირმა ბევრი არაფერი შველა არ იგრძნო. მომაკვდავის დღეები, საათები დათვლილი იყო.

ამ საბრალოს უძლურობით ფეხის გადადგმა უჭირ-

და. ფეფენა ერთ წამს მიიმალა გზის პირა ქოხში. სახედარი გაჩერდა, თვალი გაადევნა, ეშინოდა ამ შარა გზაზე მარტო არ დამაგდონო. მე მიველ ახლოს და მოვეფერე. ფეფენაც დაბრუნდა, ჰურის ნამტვრევები, შაქრის ნატეხები მოუტანა და ალერსით, ტკბილი სიტყვებით ჩაუდო პირში: „ჩემო მოამაგევ, ეს თოთხმეტი წელიწადია მშველი შვილების გამოკვებას, ნუ თუ ახლა მიღალატებ და ამ შარა გზაზე მიმატოვებ ჩემ წლის სარჩოს ვინ წამომიღებს, რა ეშველებათ ჩემ ბალღებს. ვირი ჰურს არ მიეკარა და ძალდატანებით დაიწყო გადაბიჯება, თან მაღლობისკენ გაიყურებოდა, სადაც თავიანთი სახლი ეგულებოდა, თითქოს ფიქრობდა: მივაღწევ თუ არა, რომ იქ, ჩემ მუდმივ ბინაზე, დავლიო სულიო.

ფეფენა სულ დაიბნა, შეწუხდა, მოეხვია კისერზე ვირს და თვალებს უკოცნიდა. ამან ცოტა არ იყოს სახედარი გააშხნევა, ერთი ლმობიერათ გადასედა თავის პატრონს, მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და კვლავ ხლაზნით გასწია, ფეფენა შველოდა, გოდრებს უწევდა, ფეხ და ფეხ მისდევდა. მე ვეღარ გავუძელ ამ სანახავს, ფეფენას გაუწვდინე სამ მანეთიანი და ვუთხარი: „ნუღარ ამუშავებ, დაასვენე ეგ საცოდავი, კარგა გამოკვებე“ და გადუხვიე გზას.

მაგრამ გულმა არ მოძითმინა და შორიდან დიდ ხანს ვადევნებდი თვალს. დავინახე ვირი რომ სახლის კარებს მიუახლოვდა დაეცა, მოძესმა ფეფენას ევირილი და მისი ბალღების ქვითინი.

—

არ გავიდა სამი დღე, რომ ბიძი ჩემის ეზოში შემოვიდა ვიღაც დედაკაცი და მეძებდა, შევხედე და ვიცანი ვირის პატრონი დედაკაცი—ფეფენა. იმას ხელში ეჭირა ჩემი სამ მანეთიანი, დამინახა თუ არა თვალცრემლიანმა მითხრა:

— წაიღეთ ეს ფული. ვინ უნდა გამოვკვებო, როდესაც ის უბედური იმავ დღეს მომიკვდა...

ან. წერეთლისა.



# ექიმი ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმი.

ბორჯომის სეობის და აბასთუმანის მიდამოების სიმშვენიერე განთქმულია ეველგან და არა ერთი უცხო ქვეყნის მგზავრი გვეწვევა ხოლმე საკუთრივ მის სანახავათ.

ბორჯომის სეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზე, მდებარეობს სახელათ წოდებული „ჰატარა ცემი". ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის მატარებელი ბაკურიანში რომ ადის ზედ გაუვლის ჰატარა ცემში გაკეთებულ ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მიერ სანატორიუმს, რომელიც როგორც საუცხოვო ადგილის მდებარეობით, ისეც ჩინებული მოწეობილობით წარმოადგენს ეველა სუსტ, სისხლ ნაკლებ, ნაავათმეოფარ ადამიანისთვის საუცხოვო თავს-შესაფარს.

„ჰატარა ცემი" ბორჯომიდან **24** ვერსის მოშორებითაა, მაღლობ ვაკეზე და ზღვაზედ მაღალია 4400 ფუტით.

ადგილის მდებარეობა მეტათ მოხდენილი და ლამაზია. თითონ სანატორიუმი გაშლილ ჰატარა ვაკეს წარმოადგენს, რომელიც ფიჭვნარით და ნაძვნარით არის გარემოცული. მთელ დღეს მზით განათებულია და ქარისაგან მაღალის მთის ქედით დაცულია, ნიადაგი მშრალი აქვს, ჭავა გრილი და ჭაერი სუფთა.

ჰირველათ მხოლოთ ემაწვილების სიეკვარულმა გამოიწვია, რომ ექიმმა, ვახტანგ ღამბაშიძემ, ამისთა-

ნა ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი. ექიმი უფრო ბავშვებ-




ზე ზრუნავდა და ახლაც მხოლოთ მათზე ზრუნავს, სურს მათთვის, მხოლოთ მათთვის სამოთხეთ გადააკეთოს ეს თავს-შესაფარი. მან დაარსა 1904 წელს ეს სანატორიუმი და თუმცა დიდებიც იმეოფებიან, მაგრამ ჩვენი ვახტანგი სულით და გულით ემაწვილებს ეკუთვნის.

—

გაზაფხული დადგა თუ არა, გოგია გამობრუნდა ავათმეოფობიდან. დედით ობოლი ემაწვილი მეტათ გრძნობიერი და გულ ჩვილი იეო; მართალია გარშემო მეოფნი არ აგრძნობინებდენ სიობლეს, მაგრამ თვითონ სულ ჩაფიქრებული იეო მეტადრე მძიმე ავადმეოფობის შემდეგ.

ერთ დილით მამამ უთხრა:

— აბა, გოგია, დღეები გათფება და უნდა გაგზავნო სანატორიუმში, ექიმთან.

— კიდევ ექიმთან! არ მეეო წამლობა.

— არა შვილო, ჩვენ ვახტანგთან.

ამის გაგონებაზე ფერ მიხდილ, გამხდარ გოგიას პირზე ღიმილი აეთამაშა.

— შენ არ მოხვალ? როდის წამიყვან?

— ცოტა დღეები გათბეს. მე აქ დავრჩები, უნდა ვიმუშავო. ხან და ხან მოგხედავ.

—

15 თიბათვიდან ამოძრავდა „პატარა ცეკი" დიდი და პატარა მოაწყდა ამ თავშესაფარს ჩაეკითლებულნი, ნაავათმყოფარნი ზლაზვნით ჩამოდიოდენ მატარებლიდან. მამამ გოგიაც მოიყვანა. უძაწვილი გამოწყობილი იყო ჩერქეზულათ, წელზე პატარა სანჯალი ჰქონდა შემორტყმული, ფაფახ ქვეშიდან გამოიყურებოდენ მიბნედილი თვალები. წინეთ მოსული ბავშვები ჰაერზე მოსულიერებულნი სიხარულით ეგებებოდენ ახალ მოსულებს და სისწრაფით უმაწვილები იტაცებდენ მათ ბარგს. მეტათ სიხარულით დაუხვდენ გოგიას, როგორც ნაცნობს და ამ დღიდან გოგია გახდა სული და გული ამ პატარებისა. მისი სალამურის ხმას მთები ბანს აძლევდენ.



მახლობელი ჩანჩქარი.

უმაწვილების საუკარელი ადგილი საცა თავს იუ-

რიდენ სათამაშოდ იეო ჩანჩქარი. ესენი ძუხლებამდის წყალში ჩადგებოდენ და ცდილობდენ ხიდი გაეკეთებინათ წყალში გაღმა გასასვლელათ მათთან ერთად მათი საყვარელი ექიმი ვახტანგიც განუერელათ მუშაობდა, ხელმძღვანელობდა და ასალისებდა ვარჯიშობაში. ემაწვილებს სახეები უბრწყინავდათ და ვინც შეხედავდა მათ როგორ იტეოდენ, რომ ან სისხლ ნაკლები და ან ნაავათმეოფარი არიან. ბავშვები ხშირათ თავიანთ საუზმით უფრო შორს, მეორე ჩანჩქერთან მიდიოდენ და იქ წყალში ჭეუმპალობდენ.

ემაწვილებს მეტათ სასიამოვნო გასართობათ მიაჩნდათ ომიანობის თამაშობა და წარმოდგენების გამართვა, სადაც გმირი მეფეები იუვენ გამოეკანილნი, რომელნიც ამარცხებდენ ეიზილბაშებს, წარმოდგენა გოგიას მიერ შეთხზული იეო.

ერთხელ წარმოდგენის დროს, მეფე რომ უჯავრ-

დებოდა „ეიზილბაშებს“ უცბათ ჩატუდა თავიანთაგან ხელათ გაკეთებული თეატრის ფიცრები, უმაწვილების სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა, რომ მეფემ მტერი დასძლიაო.

საზოგადოთ მოუხარშავ ხილის ჭამას სანატორიუმში არც დიდებს და არც პატარებს ნებას არ აძლევდენ და რომ ყველას, მეტადრე პატარებს, ხილი გაგიჟებით უყვართ—ესეც ჭეშმარიტებაა. ერთხელ გავარდა ხმა რომ ემაწვილები შეპარულან სარდაფში ხილის მოსაპარათ, დიდებმა ზოგმა ხუმრობაში ჩააგდეს და ზოგმა ასტეხეს ვაი ვაგლახი და თხოულობდენ

დასჯას. რითი გათავდა საქმე ბევრმა არაფერი შეიტყო, ხოლო ორი-სამი კვირის შემდეგ გოგიას ხელმძღვანელობით წარმოდგენა გაიმართა და ემაწვილებმა ფარდა არ ახადეს, სანამ მათი საყვარელი ვახტანგი არ მივიდა. მერე იცით რა წარმოგვიდგა თვალწინ! ექიმის შვილს გივს როგორ მიჰყავს ბავშვები

ხიდ ის გამოსატანათ და მერე როგორ გაძოძიებას ახ-
დენს სანოვაგეს უფროსი ამბაკო და ემაწვილების ეუ-
რის მგდებელი შალიკო. შემდეგ იყო გამოუვანილი,
ბავშვებმა როგორ მიასწრეს ამბაკოს, როდესაც მასაც
ჩუმათ გამოჭქონდა ხილი სარდაფიდან, რომ მიეწოდე-
ბინა დიდებისთვის. მართლაც ასე ეოფილიყო ეს სა-
ქმე. ეველა ამ გულ-წრფელ წარმოდგენით ნასიამოვ-
ნი დარჩა.

**ვინმე ქალი.**



სანატორიუმის ბაქანა.

# კიბოს ძოგზაურობა.

(ფრანგულიდან)



ეო ერთი კიბო, მასზე უკეთესი ქვეყანაზე არა იყო-რა, თავისთვის დამშვიდებით ცხოვრობდა.

შედარებით სხვებთან გამბედავიც იყო და არც ჭკუა აკლდა.

ერთხელ ოთხ ელ მხრიდან მოესმა საშინელი ყვირილი და ოხვრა. თურმე წყალი იკლებდა, შრებოდა. ამ ამბავმა წყალში მცხოვრებლებს თავზარი დასცა. მართალია კიბომ დიდი ხანია შეატყო რომ წყალი იკლებს, მაგრამ ეგონა რომ ისევ ისე მოიმატებს.

ამისთანა შესაწუხარი ამბავი კიბოს საფიქრებელი გაუხდა. ბევრი იფიქრა და შემდეგ დაადგა ამ დასკვნას, რომ წყურვილით არ ამოიხოცოს — უსათუოდ ვინმე უნდა წავიდეს წყლის საშოვნელათ

მერე ვის მიანდობდენ ამისთანა ძძიძე საქმეს!

კიბომ ბევრ ოავის ამხანაგებთან გამართა სჯა-ბაასი, მაგრამ არავ ს რჩევა ჭკუაში არ დაუჯდა.

ბოლოს იფიქრა, რომ ამის მეტი ვერავინ შეასრულებს ამ საქმეს: ზოგი ვერ გაიგნებს გზას, ზო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი რამე სისულელეს ჩაიდენს და ზოგი გზაზე ეშმაკობას მოჰყვება.

ყველას ისიც ეგონათ, რომ გზა შორია და შესაძლოა მოიღალონ და მოთმინება დაჰკარგონ.

— რა გაეწყობა, მე თვითონ წავალ, თქვა ბოლოს კიბომ.

აიღო წელის ჭურჭელი და გასწია. დიდი სიხარულით და აღტაცებით გააცილეს კიბო ყველა იმათ, ვისაც უყვართ რომ სხვებმა იმუშავონ და თვითონ არაფერი გააკეთონ.

— რა ეოჩაღი კიბოა! რა გამბედავია! ისმოდა ყვირილი ყოველი მხრიდან—ცოტა რომ აუჩქარონს, ჩვენ ყველას გაჭირებიდან გამოგვიყვანს.

აღტაცებით ბაყაყები ტირიოდენ, სიხარულით გომფაშოებს გული მისდიოდათ.

ჩვენი კიბო გზას გაუდგა. ერთ წუთსაც არა ჰკარგავდა. მიდიოდა ჰირდაპირ, სულ მიდიოდა, შეუჩერებლივ მიდიოდა, ამოსუნთქვისთვისაც არ ჰკარგავდა დროს.

მაგრამ ცოტ-ცოტა იგრძნო დაღალულობა, და უკმაყოფილობა.

— სწორეთ გიჟი ვარ, რომ ასე მივეჩქარები! თოფის გულივით გავრბივარ, აგრეც არ ვარგა. დამშვიდებით უნდა ვიარო, რაზე ვიკლავ თავს!

და დაიწყო თავისებურათ ნელის ნაბიჯით სიარული.

ჩვენ კიბოს სწორეთ შვიდი წელიწადი მოუნდა წყალთან მისვლა და ათი წელიწადი მოანდომა თავის

ბინაზე დაბრუნებას. გასაკვირველი არ იყო, რომ იქიდან მოსვლას უფრო ბევრი სანი მოანდომა, რადგან მოჰქონდა წულით სავსე ჭურჭელი.

ბოლოს კიბომ მიაღწია თავის ბინას, ოთხი საფეხური-ღა დარჩა, რომ სამშვიდობოში მისულიყო. აქ კი გაუჭირდა ასვლა, რადგან წულით სავსე ჭურჭელი აძძიმებდა.

ავიდა თუ არა მაღლა კიბომ ზემოდან გადმოხედა წყაროებს, ჭებს—ყველაფერი გამშრალი დაუხვდა.

ჭიანჭველაც კი ვერ იპოვიდა ცვარს თავის წყურვილის დასაკმაყოფილებლათ.

— რა დიდხანს მოვუნდი, ძალიან დიდ ხანს მოვუნდი ამ მოგზაურობას! სად არიან ჩვენები, რა დაემართათ, ისე აღტაცებით მაცილებდენ და კი არა ჩანან. რა სიჩუმეა ყველგან. განა ასე მოველოდი რომ დამიხვდებოდენ.

ერთი ცნობის მოყვარე ბებერი გუგული ჩამოჯდარიყო თითქმის სულ გამხმარ ხეზე და გაკვირვებით კიბოს ყურს უგდებდა.

— შენ მაგათ ვერ გააღვიძებ! თუ არ გიყვირიან, „გამარჯვება გმირ კიბოს“—ეს მაგათი ბრალი არ არი, ისინი ყველანი დაიხოცენ. მათ ფხებს, ქერქებს და ჩონჩხებს თუ ნახავ, თორემ სხვა არაფერს! იცი, ჩემო კარგო, რომ შენ წულის მოტანას მთელი ჩვიდმეტი წელიწადი მოუნდი, როდესაც წყალი სჭირდებოდათ მაშინვე!

ამ გუგულის სიტყვებმა საბრალო კიბო ისე შეაწუხა, ისე თავზარი დასცა, რომ გულ დაწყვეტილი

ზეცისკენ აღაპყრა ცოდვების მოსანანიებლათ თავისი თათები და სრულებით დაავიწყდა წელით ჭურჭელი, რომელიც მიწაზე დაეცა და ნაჭუჭ-ნაჭუჭათ იქცა და წყალი კი მაწამ ერთ წამს შეიშრო.

უბედურმა კიბოს მეორე დღეს სული დალია.

ტასო.



# ნათელ-თევზა.*)

ყველა თევზებში, ყველაზე საშიში არის ნათელ-თევზა. ამისი გაუმაძღრობა ანდაზათ არის თქმული. თბილი ზღვის ნაპირის მცხოვრებლებისათვის ეს თევზი დიდი მტერია; ტანის ბანას ამ თევზის შიშით ვერვინ ვერა ბედავს. ნათელ-თევზა მისდევს ხოლმე გემს: ის ელაპარაკვის ყოველისფერს, რასაც გემიდან გადმოაგდებენ, ვაი იმ ზღვაოსანს, ვინც თავის დაუდევრობის გამო წყალში გადავარდება—რა გინდ მცურავი იყოს, მას ნათელ-თევზა დაეწევა, თვალის დახამხამებაში გაჰგლეჯავს და შესჭამს.

აი, როგორ ასწერს ლასეპედი ამ თევზის ცხოვრებას: ნათელ-თევზა ნადირობს დიდ ცხოველებზედაც. მას აქვს მშვენიერი ენოსვა, დიდ მანძილზე გრძნობს იგი მძოვრის სუნს, და არასოდეს არ გაუშვებს შეუჭმელად მკვდარ თევზს, ოთხ-ფეხს, ადამიანს. ნათელ-თევზა სულ ასლოს მისდევს იმ გემებს, რომლებითაც მონები მიჰყავთ. ყოველ წლივ აფრიკის ნაპირებიდან მიდის რამოდენიმე გემი დატვირთული ამ „ცოცხალ საქონლით". ნათელ-თევზები ღირსეული ამხანაგები არიან იმ საშინელი ადამიანებისა, რომელნიც ამ ცო-

*) ზოგი ეძახის ზღვის ძაღლს, რადგან თავი მიუგავს ძაღლს.

ცხალ საქონელს ჭეიდიან. ეს თევზი ძისდევს გემს, სანამ ეს უკანასკნელი ამერიკელ ნავთ-სადგურს არ მიახწევს. ნათელ თევზა სახა-გაღებული ძისდევს გემს და უცდის, როდის გადმოუშვებენ ბაქანიდან წყალში, რომელიმე საბრალოს გვამს. ზანგები გზაში ერთობ ბევრნი კვდებიან, რადგანაც ვერ იტანენ ხანგრძლივ ზღვით მოგზაურობას და დარდს. ხშირად ამ გვამებს არც-კი ჭერიან წყალში, იქვე მიაკრავენ გემზე სამი საჟენის სიმაღლეზე. მაშინ თევზი რო დაინახავს სანატრელ საჭმელს, ამოვარდება წყლიდან, სტაცებს კბილებს მკვდარს ⅓ გაიტაცებს. ამ თევზს ბოლო როგორი ძლავრი უნდა ჰქონდეს, რომ შეეძლოს წყლიდან ისარივით ამოვარდნა ისეთ სიმაღლეზე. ადამიანს, რომელიც ჩავარდება ზღვაში, საშინელი სიკვდილი მოელის. ნათელ-თევზა ჩაითრევს მას ზღვის სიღრმეში. ამსანაგებმა თუ გინდ რომ მოასწრონ და თოკი გადუგდონ, იმ შემთხვევაშიაც ნათელ-თევზა მოასწრობს მივარდნას ატაცებულ კაცს, სტაცოს საბრალოს კბილები, დაჭყლიჯოს ნაწილ-ნაწილად და ამას ოოველისფერს სედავენ შიშისაგან გაქვავებულნი მისი მეგობრები, მაგრამ ვერაფერი ვერა გაუწყვიათ-რა. ეოფილა ისეთი მაგალითებიც, როდესაც ადამიანი გადარჩენილა ამ საშინელებისაგან. ეს მაშინ ხდება თუ მსხვერპლი ისარგებლებს იმ ი ი, რომ ნათელ-თევზას ჰირი აქვს თავის დაბლა ნაწილში. ნათელ თევზა უნდა გადაბრუნდეს თუ უნდა დაიჭიროს საგანი, რომელიც მის ზევით არის.

ნათელ-თევზები ხშირად იბრძვიან—საკვირველიც იქნებოდა, რომ ასეთი მსეცები თავიანთ შორის არ

ჩხუბობდენ. თვალებ დასისხლიანებულები, ეცემიან ერთ-მანეთს, საშინლათ ურტყამენ, და იმათი ტლაში-ტლუში ზღვაზე შორს გაისმის. ამ თევზებზე ძლიერ ბევრია ნაწერი. ცნობილი მოგზაური გელონი აი რას მოგვითხრობს. ჩვენი გემის ლოცმანი, რაშიდი, წავიდა იმ ფრინველის საძებნელად, რომელსაც ესროლეს თოფი და დაკოდილი ზღვაში ჩავარდა. ლოცმანმა ნახა ფრინველი და რომ მოჰქონდა, თვალი მოჰკრა ნათელ-თევზა როგორ მოსდევდა. შეშინებულმა რაშიდმა მანიშნა, რომ საშინელება მოელის. მაგრამ მაშინვე გამოჩნდა მეორე თევზი, აგერ მესამეც. ჩვენ გადავწყვიტეთ მათგან თავი საჩქაროდ დაგვეხწია. გრძელ რკინის ჯაჭვს მივაბით ვეებერთელა ანკესი, ზედ ჩამოვაცვით დიდი დამარილებული თევზი. ამით გვინდოდა მოგვენადირებინა თევზი. როგორც კი ჩაუშვით ანკესი, ერთი ნათელ-თევზა, ყველაზე პატარა, საჩქაროთ მიუახლოვდა და ღონიერად ჩასჭიდა კბილები. ზღვაოსანმა, რომელსაც ეჭირა ჯაჭვი ძალზედ მოსწია ჯაჭვს, ისე რომ გამოსთხლიშა თევზს პირიდან ანკესი, მაგრამ თევზი სრულებით არ შეშინდა, მან ისევ გაიწია და ახლა კი ვეღარ გადაურჩა სიკვდილს. ის ამოათრიეს ბაქანზე და იქვე დასჭრეს ცულით და კავებით. ანკესი ჩაუშვეს ისევ მობმული თევზით და ახლა მეორე ნათელ-თევზა დაიჭირეს, მერე მესამე, ყველაზე დიდი, სადღაც გადაიმალა. მერე უცებ გამოჩნდა გემთან ახლოს. ჩვენც ზემოდან ვაჩვენებდით მსუქან ცხვრის ხორცს; თევზი მოსცურავდა ჩვენკენ და თითქოს არც კი უყურებდა ხორცს. მაგრამ როდესაც ანკესი ღრმად წუალ-



ნათელ-თევზაზე ნადირობა.

ში ჩაუშვით თევზმა ვერ დაასწია თავი მსუნაგობას— და გაება მახეში.

მისი ცოცხლად ამოთრევა ვერ გავბედეთ. გადავწევიტეთ ჯერ მოგვეკლა და მერმე ამოგვეთრია. როდესაც ამოსწიეს წულიდან, მას ორჯელ დაასალეს თავში ტუვია. მერმე კიდევ რამდენჯერმე რკინის ჯოხი ჩაარტყეს და მხოლოდ მაშინ ამოათრიეს მაღლა. თევზი იყო სიგძით საქენ ნახევარი, წონით იყო არა ნაკლებ თორმეტი ფუთისა. თუმცა ეს ნათელ-თევზები ძლიერ იყვენ დაჭრილნი, მაგრამ კიდევ ებრძოდენ სიკვდილს და ისე ძლავრათ იქნევდენ ბოლოს, რომ მთელ გემს ზანზარი გაჭქონდა. ზღვაოსნებმა რომ თევზები, მალე მომკვდარიყვენ სახაში ჩაუსხეს წყალი. ამბობენ რომ წყალი თუ ძლაშე არ არის საწამლავია ნათელ-თევზისთვის. მიუხედავათ ამისა კიდევ თავში დაჭკრეს რამდენჯერმე რკინის ჯოხი და მხოლოდ მაშინ დაიწყეს მათი გაფატრა. ამოიღეს თითოსაგან ღვიძლი, სიგრძით ერთ არშიხზე მეტი, ამოსჭრეს კუჭი და შეინახეს, რადგანაც ეს საუკეთესო მასალათ მიაჩნიათ თუ სურთ წულის დენა შეაჩერონ და დაუცვან ხვრელი. მერმე გადაჭრეს ფხა—გულის, ზურგის, ბოლოსი—ამას გაუიდიან, რადგანაც მისგან აკეთებენ ერთგვარ ტუავს, ამ ტუავით სწმენდავენ და ასწორებენ სხვა და სხვა ლითონიდან გაკეთებულ ნივთებს. როდესაც ეოველისფერი, რაც კი გამოდგებოდა აცალეს თევზებს, მათი ხორცი მაგარი და უგემური გადისროლეს ზღვაში, რადგანც საჭმელათ არ ივარგებდა.

ნათელ-თევზა მშვენივრად დასცურავს; მას ეველა გრძნობა კარგად აქვს განვითარებული.

ა. ფ.

# მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი.

(მოთხრობა ლუი ბერგოსი)

VII.

აიარა დღეებმა, კვირეებმა, თვეებმა; ავათ თუ კარგათ გუპილი ძალაუნებურათ შეეთვისა ეჟვანს; სარჩოზე მუდმივმა, აუცილებელმა ფიქრმა ისევ გააღვიძა მასში, ტეის ავაზაკის სული და ის ხელახლავ შეუდგა ცხოვრებას, მგელებურათ თავისუფალ, მაგრამ მარტოობით მოწამლულ ცხოვრებას.

ღამ-ღამეობით ის ნაღვლიანი კმაუოფილებით, სევდით სავსე სიამოვნებით უგდებდა შორიდან ეურს თავის მოძმეების ხმას, და ეს ხმა მისთვის საუკუნოთ დაკარგული სამოთხის სადღესასწაულო გალობა იუო.

აგვისტოს აუტანელ სიცხეებში, ბინდისას, ის გზების ჰირას გაუოლილ ველებზე მიდიოდა სანადი-

როთ, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ იქ მრავალ თვალ-დახუჭულ, გზა დაბნეულ, საცოდავათ მბობლავ მუდოს შესვდებოდა; როცა სიცხე ამ ჰატარა ჰირუტუვებს გახურებულ სოროდან დედა-მიწის ზურგზე ამოსვლას აიძულებს, ისინი დაღუპული არიან, რადგანაც ვერაფრით ვეღარ მიაგნებენ ხოლმე მერე თავის სოროს შესავალს; ისე რომ მაშინაც კი, როცა მელა მუდოებს ცოცხალს ვერ ხვდებოდა, მკვდრებს მაინც ჭპოულობდა მათ გზებზე, წმინდა ჭაერზე ჰირველ და უკანასკნელ სეირნობის მსხვერპლებს.

მერე შემოდგომა დადგა, აუარებელი ხილი მოვიდა; ამ დროს გუპილის ცხოვრება განსაკუთრებით მოსვენებული და უდარდელი იქნებოდა, რომ ნადირობა არ გახშირებულიყო და ურიცხვი ძაღლების ხროვა ხმა-ძაღალი უეფით არ დატრიალებულიყო ტყეში; ეს უეფა, ეს ძაღლები, ეს მონადირეები აცოცხლებდენ მელას მახსოვრობაში ლიზეს და მიროს, აგონებდენ მას წარსულ საშინელ ტყვეობას და კიდევ უფრო აძწვავებდენ მის ახლანდელ მარტოობას.

მწარე გამოცდილებით დაჭკვიანებული, ჩვეულებრივზე კიდევ უფრო ფრთხილი, ის ახლა მხოლოთ ისეთ ბინას ირჩევდა, რომელსაც ორი გასავალი ჭქონდა, და იქაც მხოლოთ მაშინ იმალებოდა, როცა ჯერ ათასნაირი მიხვევ-მოხვევით მეძებრებს გზა-კვალს აუბნევდა.

დრო კი გადიოდა; და გუპილი არ ჭფიქრობდა ზამთარზე, რომელიც ახლოვდებოდა, თუმცა ფრინველების აჩქარებული გაფრენა თბილ ქვეყნებისკენ და

მისი საკუთარი ბალნის უჩვეულო გაზდა და გასქელება ცხადათ ამტკიცებდა რომ ზამთარი ნაადრი და სასტიკი იქნებოდა.

VIII.

უეცრათ, მოულოდნელათ, როგორც ეს მთებში მოხდება ხოლმე, როგორც-კი ოქტომბრის წვიმებმა და ნოემბრის ქარებმა ტუეს მისი გაუვითლებული ფოთლები გააცვინეს, ზამთარი დადგა; იქა-აქ, ჩირგვებში, ჯერ კიდევ მოჩანდა წითელი კუნელა, აქა-იქ მოლურჯო მოცვიც გამოიეურებოდა ეინვისაგან როგორც მაკრატლით კუდ-წაჯრილ ეკლებს შორის; მერე, ერთ მშვენიერ დილას, ქარი ჩადგა და თეთრი, რბილი, ჩუმი თოვლი დაეშვა დედა-მიწაზე, დაეშვა ნელ-ნელა, აუჩქარებლათ, მაგრამ შეუჩერებლათ, სწორეთ ისე, როგორც კარგი მუშა მუშაობს ხოლმე, მუშა, რომელსაც არაფერი აჩერებს, მაგრამ არც არაფერი აჩქარებს, რომელმაც კარგათ იცის, რომ ბევრი დრო აქვს და ეველაფერს მოასწრებს.

ორი დღე და ორი ღამე შეუწეველლათ ითოვა; თოვლმა ორმოები ამოავსო, გორაკები მდაბლობს გაუერთა, ეველაფერი გაათანასწორა თავის ლამაზ, მსუბუქ სახურავს ქვეშ, და მთელ ამ დროს განმავლობაში არც არა ოთხფეხი და არც არა ფრინველი არ განძრეულა და ერთი წუთითაც კი არ მოშორებია თავის საზამთრო ბინას, დიდი მზრუნველობით და დიდი დაკვირვებით ამორჩეულს.

გუბილიც (ახლა ის გამოქვაბულებს შორს გაურბოდა) ხშირი თხილნარის დაბალ ტოტებს ქვეშ მო-

კუნტულიეო და მოთმინებით ამარხვინებდა თოვლს თავს; და თოვლი ნელ-ნელა აწვებოდა მას თავზე, ესვეოდა გარს და ამგვარათ უშენებდა ვიწრო, ბატარა სენაკს; ამ სენაკში ქელა თბილათ იყო, რადგანაც გრძელი და სქელი ბალანი ჰქონდა და რადგანაც ირგვლივ შემოწოლილი თოვლი გარეთ გამეფებულ სიცივეს არ აკარებდა მას.

როდესაც იგრძნო, რომ ავდარი დაწყნარდა, გუპილმა ფრთხილათ, ისე რომ ბუნებისაგან მისთვის გაკეთებულ სოროს არა ავნო რა, შიგნიდან გამოსავალი გამოთხარა, გამოძვრა გარეთ და სარჩოს საძებნელათ გასწია.

ისევ ცუდი დღეები უდგებოდა, გუპილი ამას კარგათ გრძნობდა; მით უფრო ცუდი, რომ ეჟვნის დაჟინებული რაწკუნი ოთველგვარ ნადირობაზე და განსაკუთრებით კურდღელზე—ნადირობაზე მას სამუდამოთ ხელს აღებინებდა; თუ შეეთხვევით კურდღელი მის წინ გამოხტებოდა, რასაკვირველია უსათუოთ მისი მსხვერპლი გახდებოდა, რადგანაც რბილ, ჯერ გაუფინავ თოვლზე საბრალო გრძელ-ეურეებს სირბილი არ ეხერხებათ და ვერსად წაუვლენ ხოლმე ძაღლებს და ქელებს; მაგრამ საუბედუროთ თვით კურდღლებსაც კარგათ ესმოდათ ეს, ამიტომ როგორც-კი შორიდან რამე ხმაურობას გაიგონებდენ, მაშინვე თავდავიწყებით გარბოდენ; ეჟვნიანი ქელა, რა თქმა უნდა, მათ ახლოს ვერ მიუდგებოდა.

დაიწყო ხელ-ახლავ გუპილისათვის იქით-აქეთ დაუსრულებელი ხეტიალი, დამპალი ხილის საპოვნე-

ლათ ხეებს ქვეშ მიწის თხრა, ჩირგვების თვალიერება და რხევა ზედ გარჩენილი კუნელას ან მოცვის ჩამოსაერელათ; მაგრამ ეველა ეს ბევრს არას იძლეოდა და მელას კუჭი მუდამ ცარიელი იყო.

ხელ-ახლავ იგემა გუპილმა შიმშილით გამწარებული დღეები, ბილიკების ჰირას მოთმინებით კურდღლების დარაჯობა, ფრთხილათ ცდა სამოსახლოების შორი-ახლოს იმ იმედით, რომ ან რამე შინაურ ფრინველს მოაკლებდა ჰირს, ან რომელიმე კატას კბილს გაჭკრავდა.

ამგვარმა ტანჯვით სავსე ცხოვრებამ დეკემბრის ჰირველ დღეებამდის გასტანა; მაშინ-კი სუსხიანი ქარი ამოვარდა, სიცივე გაორკეცდა, გამაგრებული, გამწვავებული თოვლი ეველაფერს მოედვა, ქარიშხალმა ის თეთრ ზვინებსავით დაატრიალა ტყეში და მინდორ-ველებზე.

გუპილის სორო ჯერ ეველა ამას უძლებდა; ის კი არა, კიდეც უფრო გამტკიცდა, რადგანაც მელას ტანის სითბოს მის ძიდა-ჰირზე თოვლი ცოტათი გაედნო, და ეს გამდნარი თოვლი, ეინულათ ქცეული, ახლა ერთგვარ თაღს წარმოადგენდა, რომელიც ადვილათ იტანდა ზემოდან ჩამოწოლილი თოვლის სიმძიმეს.

ჩირგვებზე აღარა იხედებოდა რა, ფრინველები სოფელს დასტრიალებდენ, კურდღლები უჩინარი იყვენ. აღარაფერი, სულ აღარაფერი არსად! და ნაღვლიანათ ჩაფიქრებული მელა იგონებდა ძველ თავგადასავალს, ბულუას სამოსახლოში ამოწყვეტილ მამალს

და ქათმებს, და ჯერ-ჯერობით ვერ ჭბედავდა ისევ სოფელში დაბრუნებულიეო და ეცადნა თავისი ეჟვნით სხვა და სხვა შინაური ორ-ფეხი მოეტეუებინა.

მაგრამ სხვა რა ღონე იეო? თავის თავისთვისაც შეუმჩნევლათ, ეოველ ღამე უფრო და უფრო, ის ნელ-ნელა დაუახლოვდა კაცების შენობებს, და ამით დაა-შორა მათ სხვა მელიები რომელთაც გუჰილისავით შიმშილის აუტანელ, უკანასკნელ საზღვრამდის არ მო-ეთმინათ და დიდი ხანი იეო სოფელს გარს უვლიდენ რისამეს მოტაცების იმედით.

მაგრამ არც ერთი შინაური ცხოველი არ ჭფიქ-რობდა თვისი თბილი ბინიდან გარეთ გამოსვლას; კატები ხომ სულ ცეცხლის ჰირას ატარებდენ იმ დროს, რომელსაც იატაკის ბნელ კუნჭულებში თაგვების და-რაჯობას არ ანდომებდენ.

ხშირათ ხან ერთი და ხან მეორე მონადირე ძაღ-ლის გაბრაზებული ეეფა აცნობებდა ხოლმე გუჰილს, რომ ნამეტანი მიახლოვებოდა რომელიმე სამოსახლოს და რომ დრო იეო ისევ ტეისკენ გაქანებულიეო; ვერც ერთხელ ვერაფერი, ვერაფერი ვერ იშოვა ამ დაუსრუ-ლებელი წანწალის დროს ღამ-ღამეობით; ლეშიც-კი, კაცებისაგან განგებ დაგდებული ლეში, რომელსაც, ვინ იცის, შიმშილით გამწარებული მელა იქნება გა-კვრით ერთი ლუკმის წაგლეჯას მაინც მოუხერხებდა, ეს ლეშიც-კი ახლა არსად სჩანდა; სოფლის ცხოვე-ლებს ხომ თითქო ჰირობა შეეკრათ ფრთხილათ ეო-ფილიეკენ და ტეის მცხოვრებთ არ დანებებოდენ.

გუჰილი მაინც თავისას არ იშლიდა და სახლებს

ოოველ ღამ გარს უვლიდა; მსოლოთ ლიზეს სადგომს ერიდებოდა, და თუმცა ცარიელი კუჭი უხოლოთ სტანჯავდა, თუმცა შიმშილისაგან ჭკუაზე იშლებოდა, მაინც ისარიგით გავარდა ტეისკენ ერთ ღამეს, როდესაც გაიგონა, რომ მისი დაასლოვებით გაბრაზებულ უცნობ ძაღლის ეეფას მირო შორიდან ჰასუხს აძლევდა.

დღეები გადიოდენ, სიცივე არ კლებულობდა, და შიმშილი სულ უფრო და უფრო აძწარებდა ტეის მცხოვრებთ და განსაკუთრებით ეჟვნით წამებულ გუჰილს; გვერდებ ჩავარდნილი, მოჩვენებასავით გამხდარი, უარესი შესახედავი, ვიდრე თავის ტევეობის შემდეგ, სიცხით გათარანებული, ამდენი ხნის უჭმელობით ღონე გამოლეული, დასუსტებული, დაუძლურებული, ის ახლა ფეხზე ძლივს იდგა, ძლივს დაფარფატობდა, მაგრამ სოფელს მაინც თავს არ ანებებდა, ისევ და ისევ იქ ბრუნდებოდა, ოოველ ღამეს, დანიშნულ დროს, ერთსა და იმავე საათს, არც კი იცოდა რატომ და რისთვის, ძაღლებსაც კი აღარ ერიდებოდა, ლიზეს სახლსაც კი აღარ გაურბოდა, რისამე შოვნის იმედიც აღარ ჰქონდა, აღარც კი არას ეძებდა, მთლათ გაგიჟებული, მთლათ მოკლული მუდამ მორაწკუნე ეჟვნით და მომზადებული, მომწიფებული უკანასკნელი, უაღრესი წამებისათვის.

**თარგ. ელ. დემოლონ-წერეთლისა.**

(შემდეგი იქნება)

# სურათი.

ბორდიდან მოხტის ნაკადი
ცოცხალი შხეფებიანი
და პირს ჰბანს ნაზსა ყვავილებს
წმინდა ცვარ-ალმასიანი.
მღერის: ჭარიმე ბაღნარო,
ედემის მსგავსო მხარეო,
მწირი უდაბნო ველები
მე ბევრი მოვიარეო,
მაგრამ ვერ ვპოვე ვერსადა
წალკოტი მოხასხასეო,
რომ ჩავხეტოდი მის წიაღს
ცელქი ლალ-მოკასკასეო.
ის იყო ვიღუპებოდი
მაშრობდა სხივი მზისაო,
რომ ამოფრინდა ჩემთანა
ნიავი წალკოტისაო.
ჩამომჩურჩულა: ძამიავ,
ნუ სწუხარ, გაიხარეო,
ქვიშნარიანი უდაბნო
მცირედიც გაიარეო
და გადგეშლება წალკოტი
ეთერში მონარნარეო,
ათასნაირად ფურჩქვნილი
ტკბილ სურნელ მომფშვინვარეო.
სთქვა და წინ წყნარად გამიძღვა
გადამტარა ,ლდენილ
და თქვენს წიაღსა მასტუმრა
მრავალ ცრემლ-დანადენილ
ვიშ, თვალს იტაცებ, გულს ხიბლავ,
საამო, სანატრელო
სიცოცხლის საფიანდაზოდ,
გადაფურჩქვნილო მდელო!

ლ. თურდოსპირელი.

# ალექსანდრე მაკედონელი.



ლექსანდრე დაბრუნდა თავის მიერ დაარსებულ ქალაქ ბუცეფალაში, სადაც მას უკვე ორი ათასი ხომალდი დახვდა. ჩასხდა შიგ ჯარი და გაუდგა გზას. ერთი წილი ჯარისა ხმელეთით წავიდა. გზაზედ არავის არ გაუწევია წინააღმდეგობა ალექსანდრესათვის, სანამ მალლების სამშობლოში არ ჩამოვიდენ.

ალექსანდრე იძულებული გახდა, ხომალდები შეეჩერებია, ნაპირზე გადმომსხდარიყო და იერიში მიეტანა ქალაქ მალლოზე, რომელსაც დღეს სახელათ მულთანი ეწოდება. ალექსანდრემ შეანგრია გალავანის კარი, შევიდა ქალაქში, მაგრამ მოპირდაპირე ჯარი გამაგრდა ქალაქის ციხეში და იქიდან სეტყვასავით დაუშინა მაკედონელებს ისარი, ქვა, შუბი.

ციხის კედლები მაღალი იყო. ალექსანდრემ სტაცა კიბეს ხელი, მიადგა კედელს და პირველი თვითონ ავარდა ზედ. მას უკან მიჰყვა სამი მეომარი. ოთხივე ავიდენ კედელზე. დანარჩენი მეომარნიც ეცენ კიბეს კედელზე ასასვლელათ, მაგრამ კიბე ნამეტანი სიმძიმისაგან გადატყდა და ყველა ძირს გადმოცვინდა. კედელზე დარჩა ალექსანდრე და სამი მეომარი.

— გადმოხტით უკანო, მიაძახეს მაშინათვე მაკედონელებმა, მაგრამ ალექსანდრე შიგ ციხეში გადახტა და მტერს ჩაერია. მას უკან მიჰყვენ სამი მეომარიც.

მაკედონელებს თავზარი დაეცათ, სანამ ისინი კიბეებს მოიტანდენ და ციხეში გადვიდოდენ, ოთხი კაცი როგორ გაუძლებდა მტერს? ალექსანდრე თავისი სამი მხლებელით ლომივით ებრძოდა ურიცხვ მტერს. ერთი მეომარი მოჰკლეს. ალექსანდრეს ისე მძლავრათ მოხვდა ქვა შუბლში, რომ თავ-

ბრუ დაესხა და ძირს ჩამოუვარდა მარცხენა ხელი, რომელშიაც ფარი ეჭირა. ამავე დროს გულში ისარი ღრმათ ჩაერჭო. სისხლმა გადმოჰხეთქა, ალექსანდრეს მალე გული შაუწუხდა და ძირს დაეცა. სწორეთ ამ დროს ამოვიდენ მაკედონელები კედლებზე გადახტენ ციხეში, დაერიენ მტერს და დაამარცხეს. გულ შეწუხებული ალექსანდრე კარავში დააწვინეს. დიდის გაჭირვებით ამოაძვრეს ისარი. სისხლის დენა შეწყდა, ალექსანდრე სიკვდილის პირას იყო. მისი მორჩენის იმედი აღარა ჰქონდათ, მაგრამ მოიხედა და მალე მოჯობინდა.

ხომალდებით ჯარი გაუდგა გზას და რამოდენიმე თვის განმავლობაში მოაღწია ზღვას. აქედან ნაწილი ჯარისა ალექსანდრემ ხეზვით გაგზავნა. თვითონ-კი ოცდა ათი ათასი კაცი წაიყვანა და გედროზის უდაბნოთი ბაბილონს გაემართა.

უდაბნოში არც ხე, არც ბალახი, არც წყალი არ მოიპოებოდა ცარიელი სილის მეტი. უდაბნოს გადავლას ალექსანდრე მოუნდა ორ თვეს და საშინელი გაჭირვება გამოიარა. ჯარი ცალკე სიცხემ შეაწუხა, ცალკე შიმშილმა და წყურვილმა. ერთ ალაგას მეომარი წააწყდა დამშრალ გუბეს, მოაგროვა ცოტაოდენი წყალი ჩაფხუტში და მოუტანა ალექსანდრეს.

— ყველას არ გვეყოფა, მარტო ჩემთვის-კი ბევრია! წარმოსთქვა ალექსანდრემ და გადაჰღვარა წყალი. მას არ უნდოდა, წყურვილი მოეკლა მაშინ, როცა სხვები უწყლოთ იტანჯებოდენ.

დიდის გაჭირვების შემდეგ ალექსანდრემ მოაღწია 324 წელს სპარსეთის დედა ქალაქ სუზას და შეუდგა თავისი იმპერიის მოწესრიგებას. ის ცდილობდა სამართლიანობისა და კეთილდღეობის დამყარებას და მექრთამეობას სდევნიდა. ყველგან აარსებდა თვითმართველობას და სპარსულ დესპოტიურ ძალმომრეობაზე აშენებულ წყობილებას სპობდა. შეუდარებელი სარდალი და მმართველი მასში ერთათ იყო შეერთებული. სპარსული სული მონობისა ყველგან ალაგმა და გაავრცელა ბერძნული სული თვითმოქმედებისა, თვითმართველობისა და თავისუფლებისა.

მთელი ათი წლის განმავლობაში ომობდა ალექსანდრე, ბევრი ხალხი გაიცნო ამ ხნის განმავლობაში, შექმნა უდიდე-

სი იმპერია, ძველი აღმოსავლეთი და დასავლეთი, აზია და ევროპა შეაერთა და ახლა მისი მიზანი იყო განათლებისა და კეთილდღეობის გავრცელება ყველგან, ყველას გათანასწორება. ბერძენი, სპარსელი, ინდოელი, არაბი, ეგვიპტელი მისთვის ყველა ერთი იყო, ყველასათვის ერთნაირათ ზრუნავდა. ბერძნები და მაკედონელები ალექსანდრეს ამგვარ მიმართულებას ვერ შერიგებოდენ. ამოდენა იმპერია ჩვენ დავიპყარით, მაშასადამე ჩვენ უნდა ვიყოთ აქ ბატონები, სხვები ჩვენზე დაბლა დგანან და ჩვენ უნდა გვმორჩილებდენო.

როდესაც ალექსანდრე შეუდგა ამოდენა სახელმწიფოს მოწესრიგებას და მისმა სარდლებმა დაინახეს, რომ ალექსანდრეს აზრი და მიმართულება იმათსას არ ეთანხმებოდა. ალექსანდრე იმდენათ გატაცებული იყო ევროპისა და აზიის გაერთიანებით, რომ თავისი მეომრებისაგან ითხოვდა: სპარსელი ქალები შეირთეთ ცოლათო. მოხელეებათ ბევრგან ნიშნავდა სპარსელებს, ჯარისკაცებათ ნიშნავდა სპარსელებს და დანარჩენ აზიელებს, რაც მაკედონელებს აბრაზებდა.

ათი წლის ომიანობამ ბევრი მაკედონელი და ბერძენი დაჰქანცა, დააძაბუნა; ზოგიც დაჭრილი იყო, დაძაბუნებული. ესენი ალექსანდრემ ყველა უხვათ დააჯილდოვა და გამოუცხადა: სამშობლოში დაბრუნდითო. ალექსანდრეს მტრებმა ისარგებლეს ყოველივე ამით, ჯარში ხმა გაავრცელეს: ალექსანდრე მოღალატეა, მან სამშობლო უარჰყო. აზიელები გვამჯობინა და ჩვენ აღარ ვუნდევართო. ამგვარ მითქმა-მოთქმას შედეგათ ჯარის აჯანყება მოჰყვა.

ალექსანდრემ გასწია ბანაკში, თავი მოუყარა ჯარს და გამოუცხადა: ომი გათავდა, ახლა საჭიროა მშვიდობიანი მუშაობა; ბევრი თქვენგანი დაიქანცა, მოიღალა და ამიტომ დავასაჩუქრე ისინი და მინდა სამშობლოში დავაბრუნო, რომ იქ მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგენო.

— ჩვენ კარგები ვიყავით, სანამ გჭირდებოდით, ახლა-კი აღარ გინდევართ! სულ ყველა წავალთ და მაშინ დავინახავთ, როგორ დაიპყრობ ქვეყანას ქალაჩუნა ბარბაროსებით! გაისმა ჯარში ხმები, ალექსანდრეს სიბრაზისაგან ცეცხლი მოეკიდა.

— „მაშ, ყური დამიგდეთ! — დაიჭექა მან, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. — არ გიშლით, სულ ყველა წადით, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდათ. მხოლოდ მინდა, დაგანახოთ თქვენი ღმადურობა. შიშველ-ტიტველი იყავით, მთებში ემალებოდით მტრებს. მამაჩემმა შეგმოსათ, სამხედრო ხელოვნება გასწავლათ, მეომრებათ გაგხადათ, ქალაქები აგიშენათ, კანონები დაგიწესათ, გაგაძლიერათ და მტერზე გამარჯვება გასწავლათ. წინეთ თქვენ ათინას მეხარკე იყავით, ახლა-კი მთელი საბერძნეთის ბედი თქვენს ხელთაა. მამაჩემმა გასახელათ თქვენ და მთელი მაკედონია, მაგრამ მისი დიდი გმირობა ჩვენს გმირობასთან მოსატანი აღარ არის. მამაჩემს ჩემთვის ვალის მეტი არა დაუტოვებია-რა. ვისესხე ფული და წამოგიყვანეთ იმ ქვეყნიდან, სადაც საჭმელი აღარა გქონდათ. დარის სარდლები დავამარცხე გრანიკთან, დარის მთელი ჯარი გავუწყვიტე, შემოვიერთე მცირე აზია,—სახელი ჩემი იყო, სახრავი-კი სულ თქვენ გერგოთ. ეგვიპტის სიმდიდრე თქვენს ხელთ არის, ასურეთი, პალესტინა, მესოპოტამია თქვენი საკუთრებაა. ბაბილონი, ბახტრიონი, სუზა თქვენია, სიმდიდრე მთელის სპარსეთისა და ინდოეთისა თქვენს ხელთაა. მე-კი ყველა ჩემი შრომისა და ჯაფის ნაკვლათ რა მივიღე გვირგვინის მეტი? არაფერი. არაფერი არ შემიძენია და ვერც ერთი თქვენგანი ვერ იტყვის, რომ მე საკუთრათ ჩემთვის რაიმე სიმდიდრე შემენახოს: ყოველივეს თქვენ გაძლევდით და თქვენთვის ვინახავ ახლაც. ანკი რათ მინდა მე სიმდიდრე? მე ვსჭამ იმას, რასაც თქვენ. მაგრამ არა, მე ვიცი, რომ ზოგიერთ თქვენგანს ჩემზედ უკეთესი სასმელ-საჭმელი აქვს და ღამე, როცა თქვენ დამშვიდებული გძინავთ, თვალზე რული არ მეკიდება და თქვენს კეთილდღეობაზე ვფიქრობ. რომელი თქვენგანი გაბედავს და იტყვის: შენ არ გამოგივლია ყველა ის გაჭირვება, ტანჯვა და ხიფათი, რაც ჩვენო. გამოდით წინ და მიჩვენეთ თქვენი ჭრილობები, მეც ჩემს ჭრილობებს გიჩვენებთ. მთელს ჩემს ტანზე თითის დადება ალაგი არ მოიპოვება სალი. მე დავუჭრივარ ხმალს, ისარს, შუბს, ქვას. ყოველივე ეს გადამხდა იმიტომ, რომ თქვენთვის სახელი, დიდება და გამარჯვება მომეპოებია ყველგან ხმელეთზე და ზღვაში, ბარათ და მთებში. მე შევირთე იმგვარივე ქალი, როგორც თქვენ. თქვენი შვილები ჩემი შვილების ნათესავი იქნებიან. მე გადავიხადე თქვენი ვალი მიუ-

ხედავათ იმისა, რომ დიდ ჯამაგირებს გაძლევთ. გმირები დავასაფლავე დიდებულათ და მათ სამშობლოში ძეგლი დავუდგი. ეხლა მე მინდოდა, თავ-თავის სახლში დამებრუნებია ისინი, ვისაც სამხედრო სამსახური აღარ შეუძლია. მე უხვათ დავაჯილდოვე ესენი, რომ სამშობლოში ყველასათვის თითით საჩვენებელი ჰყოფილიყვენ, თქვენ-კი მადლობის ნაცვლათ მემუქრებით: ყველა წავალთო. მიბრძანდით! როდესაც სახლში მიხვალთ, თანამემამულეთ აუწყეთ: დამარცხებულ ხალხთა შორის ჩვენი მეფე ალექსანდრე მივატოვეთო. შეატყობინეთ, რომ მე დავამარცხე სპარსელნი, მიდიელნი, ბახტრიელნი, დავიმორჩილე არახოზია, დრანგიანა, მივაღწიე კავკასიასა და კასპის ზღვას, გადავიარე ოქსი, ტანაისი, ინდი, მივედი დიდ ზღვამდე და გავიარე გედროზის უდაბნო. მხოლოდ არ დაგავიწყდეთ და დაუმატეთ: როდესაც ყოველივე ამის შემდეგ ალექსანდრემ სუზაში გაგვიყვანა, ჩვენ ის მივატოვეთო. ვინძლო, თქვენმა თანამემამულეებმა თქვენი საქციელი მოიწონონ და ქება გითხრან! მომშორდით. აღარ დამენახოთ თვალით.

ალექსანდრემ გაათავა და გასწია სასახლისაკენ. ჯარი თავ ჩაქინდრული იდგა და არ იცოდა, რა ექნა. ორმა დღემ გაიარა, ალექსანდრე კარში არ გამოდიოდა, არც არავის იღებდა. მესამე დღეს ჯარი შეიკრიბა სასახლის გარშემო, დაჰყარა იარაღი და პატიება სთხოვა ალექსანდრეს, ალექსანდრე გამოვიდა, შეურიგდა ჯარს და დიდი ნადიმი გაუმართა.

ალექსანდრე მალე გაემართა ბაბილონისაკენ. აქედან მან გაგზავნა სწავლული პირები არაბეთისა და კასპის ზღვის გამოსაკვლევათ თვითონ-კი შეუდგა ბაბილონის ჭაობების ამოშრობას. დაუსრულებელმა შრომამ და მოუსვენარმა ცხოვრებამ ალექსანდრე მოსტეხა და ბაბილონში მას შეხვდა დამპალიციება. ავათმყოფობა მალე მოერია და საღამოთი თიბათვის ცამეტს 323 წელს ქრისტეს დაბადებამდე გარდაიცვალა ოცდა თორმეტის წლისა და რვა თვისა.

— ვის უტოვებ შენს სამეფოს? ჩასძახეს მეგობრებმა მომაკვდავ ალექსანდრეს.

— ვინც ყველაზედ ღირსეული იქნება! წამოილაპარაკა ალექსანდრემ.

ჯარის მწუხარება უსაზღვრო იყო. ალექსანდრეს გულწრფელათ იგლოვდა ყველა ხალხი, ვისთანაც-კი მას საქმე ჰქონია.

ასე ახალგაზრდა რომ არ გარდაცვლილიყო ალექსანდრე, ის ბევრ რასმეს გააკეთებდა, მაგრამ ადარ დასცალდა, მან მაინც დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას. სწავლა-განათლება და საკაცობრიო აზრები გაავრცელა ყველგან, ევროპა და აზია შეაერთა და ამით მთელი კაცობრიობის გაერთიანებას ყველაზე უფრო მან შეუწყო ხელი ძველს დროში. საყოველთაო ძმობის საძირკველი პირველათ ალექსანდრე მაკედონელმა ჩაჰყარა.

**ივ. გომართელი.**

(დასასრული)



# მარილი.

(გაგრძელება)

ველა თქვენგანს უნახავს მარილი. მარილი მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ადამიანის ცხოვრებაში. ძველ დროში რომაელები და ბერძნები ისე აფასებდენ მარილს, რომ თავიანთ ღმერთებს მსხვერპლათ სწირავდენ ხოლმე. ისინი პურის მარცვლებთან ერთათ მარილსაც დაუდებდენ სამსხვერპლოზედ. მასპინძელი სტუმართ—მოყვარეობას იმით გამოიჩენდა, რომ მარილს მიართმევდა. ეხლაც, ჩვენს დროშიაც ძვირფას და პატივსაცემ სტუმრებს მიესალმებიან და პურ-მარილს მიართმევენ. რათ არის ადამიანისთვის ესე ძვირფასი მარილი? იმიტომ რომ ადამიანს უიმისოთ ცხოვრება არ შეუძლია. მარილი ურევია თვით ადამიანის სხეულში: ხორცში, სისხლში, ძვლებში. მარილი სამუდამოთ არა რჩება სხეულში, ის თან და თან გამოდის სხეულიდან და ერევა ოფლში, შარდში, ცრემლებში.

ყველამ იცის, რომ ოფლი, ცრემლი—მარილიანია. მარილის დანაკლისი სხეულში შესრულებულ უნდა იქნას. ამისათვის ადამიანი სჭამს, იღებს მარილს საჭმელ-სასმელთან ერთათ; შემდეგ მარილი სისხლის შემწეობით გადადის სხეულის ყველა ნაწილებში, საჭიროა მარილი იმიტომაც, რომ თვით საჭმელიც შეერგოს ადამიანს. უმარილო საჭმელს კუჭი ადვილათ ვერ ინელებს. მარტო მარილით კვება არ შეიძლება, მაგრამ უმარილო საჭმელიც მავნებელია. ერთხელ ცუდ მოსავლობის დროს გერმანიაში, სახელდობრ საქსონიაში, ხალხი მარტო კარტოფილით იკვებებოდა და ავათმყოფობა გავრცელდა. მხოლოთ მარილის მაღაროების მუშები არ ხდებოდენ ავათ, თუმცა ისინიც კარტოფილით იკვებებოდენ. მიაწოდეს ხალხსაც მარილი და ავათმყოფობაც შემცირდა. ძველ დროიდანვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსასტიკეს სასჯელათ მიაჩნდათ ადამიანისათვის უმარილო საჭმლით კვება. ასეთი საჭმლისაგან სხეული ნელ-ნელა სუსტდება, დუნდება, იშლება და კვდება. ერთმა მეცნიერმა სცადა თავის თავზედ, რამდენ ხანს შეეძლო უმარილოთ გაძლება. იკვებებოდა უმარილო საჭმელ-სასმლით. სამი დღის შემდეგ ცუდათ იგრძნო თავი და მერე ძალიან ავათ გახდა.

როგორც ადამიანებს, ისე ყველა ცხოველებს და მცენარეებს ესაჭიროება მარილი. ყველამ იცის, როგორ უყვართ მარილი შინაურ ცხოველებს: ძროხას, ცხენს, ცხვარს და სხვა. მხოლოთ ხორცის მჭამელი ცხოველები—მტაცებლები: მგელი, ვეფხვი, მელა და სხვა მაინცა და მაინც არ საჭიროებენ მარილს, იმიტომ რომ მათი სამყოფი მარილი ხორცშიც მოიპოება. ზომას გადაჭარბებული მარილი მავნებელია, როგორც ცხოველებისათვის, ისე მცენარეებისათვისაც. მარილით გაჟღენთილ ნიადაგში მცენარეები ვერ ხარობენ. მარილი იცავს ყველაფერს სიდამპლისაგან. კარგათ დამარილებული ხორცი დიდ ხანს ინახება. დამარილებული თევზი ბოჭკებით გადააქვთ ერთი ქალაქიდან მეორეში, ინახავენ დიდ ხანს საწყობებში და არ ფუჭდება. ყველა თქვენგანს ალბათ უგემებია წნილათ ჩადებული კიტრი, კომბოსტო და სხვა—ყველა ეს მარილის წყალობით არის.

ჩინელები კვერცხებსაც კი ამარილებენ. ამისათვის ისინი მარილ-წყალში ჩაჰყრიან კვერცხებს და დიდხანს ანარჩუნებენ. შემდეგ, როდესაც მარილი ნაჭუჭში გაატანს და შიგნით გაუჯდება კვერცხებს, ამოალაგებენ და ისე ინახავენ.

მარილს აქვს თავისი განსაკუთრებული თვისება: მარილი რომ ძალიან გააცხელოთ დადნება—შემდეგ მოთეთრო ბოლათ იქცევა. ადამიანმა დიდი ხანია შეამჩნია ეს თვისება და კიდეც სარგებლობს ამითი: მოამზადებენ თიხის ჭურჭელს, შეაწყობენ გახურებულ ფეჩში გამოსაწვავათ,—თანაც იმავე ფეჩში რამოდენიმე მუჭა მარილს შეჰყრიან. მარილი ჯერ დადნება, შემდეგ ბოლათ—ორთქლათ იქცევა; ეს ორთქლი ფეჩის ნელ-ნელა გაცივების გამო თიხის ჭურჭელს გარშემო ეკვრება მინაქარივით, ამნაირათ ჭურჭელი მოვარაყდება; ეს ვარაყი ჭურჭელს ამშვენებს და თანაც სიმაგრესაც უმატებს. მარილი ძლიერ იშრობს წყალს—თუ პურში ცოტაოდენი სინესტე არის,

ქარილი ამ სინესტეს იზიდავს, სველდება და დნება, ამიტომ ქარილი მშრალ ალაგას უნდა ინახებოდეს. მარილი რომ ცეცხლში შეაგდოთ უცებ ტკაცანს გაიგონებთ. ეს იმიტომ, რომ ქარილში ყოველთვის არის ცოტაოდენი წყალი, სითბოსაგან წყალი ორთქლათ იქცევა, ორთქლი-კი გაიწევს, მარილს დახეთქავს და პატარ-პატარა ნამცეცებათ აქეთ-იქით გაისვრის. მარილი და შაქარი დნებიან წყალში, მაგრამ ერთ ნაირათ კი არა.

თბილ წყალში შაქარი გაცილებით მეტი იხსნება, დადნება, ვიდრე ცივში. მარილი კი თბილში და ცივ წყალში თითქმის ერთნაირათ იხსნება. ყოველთვის მარილის განსაზღვრული რაოდენობა იხსნება წყალში მაგალითად, სამ გირვანქა წყალში გაიხსნება ერთ გირვანქა მარილზედ ცოტა მეტი, ასე რომ სამ გირვანქა წყალში ორი გირვანქა მარილი მთლათ არასოდეს არ გაიხსნება. ას გირვანქა წყალში 37 გირვანქა მარილი გაიხსნება და მეტი არა.



ისეთ მარილ წყალს, რომელიც მეტ მარილს აღარ იღებს—მლაშე-მტუტე წყალს ეძახიან. მლაშე—მტუტე წყალი, შედარებით უმარილოსან, სქელია. ამისი დამტკიცება ადვილია. აიღეთ ერთი ჭიქა უმარილო წყალი, ჩასდეთ შიგ კვერცხი, თქვენ დაინახავთ, რომ კვერცხი დაიძირება. აიღეთ მეორე ჭიქით მლაშე—მტუტე წყალი—კვერცხს მოიტივტივებს

მესამე ჭიქაში ჩაასხით მარილით გაჟღენთილი წყალი, ზემოდან დაასხით უმარილო წყალი და ჩასდეთ კვერცხი, თქვენ დაინახავთ რომ კვერცხი მარილ წყალზედ დავა და გაჩერდება.

მარილიანი წყალი რომ ადუღოთ—წყალი ორთქლათ იქცევა, მარილი კი ძირს დარჩება.

### მარილიანი წყაროები.

დედა მიწაზედ ბევრი მარილი მოიპოვება წყალში გახსნილი. ბევრია მარილი ზღვის წყალშიაც. არის კიდევ მარი-

ლიანი ტბები და აგრეთვე მარილიანი წყაროები. ზოგჯერ მიწის სიღრმეში მიმდინარეობს პატარა რუ; ეს რუ ჩაუდის მიწაში მარილის ზოდებს—ქვა მარილს—ასველებს და ადნობს მას. ამ ნაირათ რუ მარილიანი ხდება. ეს რუ განაგრძობს მიწაში დენას, სანამ დიდი ქვა ან წყლისათვის გაუვალი თიხა არ შეხვდება. აქ რუ შეგუბდება, ფართოვდება, აქეთ იქით აწვება და შესაძლოა ამოხეთქოს ზევით, დედა მიწის პირზედ, ამ ნაირათ ჩნდება მარილიანი წყარო. მარილიან წყაროებიდან მარილს იღებენ, მაგრამ ადამიანები წყაროებს კი არ ეძებენ—ისინი ცდილობენ მიწა დაბურღონ იქ, სადაც მარილიანი რუ ეგულებათ—მაშინ კეთდება მარილიანი ჭა. ასეთი ჭა ხშირათ ძალიან ღრმაა და ბევრი შრომა სჭირია კაცს იმის დასაბურღავათ. ეკატერინოსლავის გუბერნიაში, ქალაქ ბახმუტის მახლობლათ არის მარილიანი ჭა სიღრმით 78 საჟენი, 10—25 წელიწადია საჭირო რომ ასეთი ჭა დაიბურღოს, მაგრამ შრომა ადამიანისა მუქთათ როდი იკარგვის. ბახმუტის ჭიდან ამოაქვთ დღე და ღამეში 18000 ვედრო ძალზედ მარილიანი წყალი. რა თქმა უნდა რაც უფრო მარილიანია წყალი, მით უკეთესია მწარმოებლისთვის. თუ 100 გირვანქა წყალში 20—37 გირვანქა მარილი არის, ეს ძლიერ ხელ საყრელათ მიაჩნია მწარმოებლებს. მარილიან წყალს განსაკუთრებულ ქვაბებში ადუღებენ, აშრობენ და მარილი რჩება. მაგრამ ჯერ პირდაპირ ქვაბებში კი არ ჩაუშვებენ მარილიან წყალს, რადგან იმის ორთქლათ ქცევა ბევრ დუღილს მოითხოვდა, ეს კი დიდ ხარჯს გამოიწვევდა, რადგან შეშა, ან სხვა სათბობი მასალა ბევრი წავიდოდა. პირველ ყოვლისა მარილიანი ჭიდან წყალს განსაკუთრებულ ღარებში უშვებენ; ამ ღარებს ძირზედ ბევრი წვრილი ნაჩვრეტები აქვს, წყალი ამ ნაჩვრეტებში გადის



გრადირი ორთქლ-მქცევი საშრობი.

და წურწურით ჩამოდის ღარებს ქვეშ ჩაწყობილ ფიჩხის კონებზედ. წყლის წვეთები ფიჩხის კონებზედ მზისა და ქარის შემწეობით რამოდენიმეთ შრებიან, იქ ორთქლათ იქცევიან —ამ ნაირათ ფიჩხის კონებს ქვეშ თიხის იატაკზედ გროვდება სქელი მარილ მოჭარბებული სითხე. ამ სითხეს ცოტა დულილი დასჭირდება ქვაბებში—წყალი ორთქლათ იქცევა და მარილი დარჩება. იმ მოწყობილობას, რომელშიც გაატარებენ მარილიან წყალს ქვაბებში ჩასხმამდის, გრადირს (ორთქლათ მქცევს) ეძახიან.

ნ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

# ჯეკი.

## ცეცხლის მჭრელელი რაზმის ძაღლი.

ილლი თითქოს ახლად დაიბადა, ახალი ქვეყნიერება გადაეშალა თვალწინ. ყველაფერი უკვირდა და აღტაცებაში მოდიოდა. ის სიმშვენიერე, რომელიც ჩვენ გარს გვახვევია და რომელსაც ისე შეჩვეული ვართ, რომ არაფრათ მიგვაჩნია, ყმაწვილს ბედნიერებით და სიხარულით გულს უვსებდა! ცისფერი ცა, ახლად ამწვანებული ხეები, ფრინველები, ყვავილები და ყველაფერი იმისთვის საყვარელი და სასიამოვნო იყო. ის ეხლა ყველაფერს ხატავდა და ისეთი მშვენიერი ნახატები იყო, რომ ლედველმა მთელი ყუთი ფერად-ფერადი სახატავი მასალა უყიდა. ბილლის ხატვა ისე შეუყვარდა, ძლივ-ძლივობით გამოჰყავდათ სასეირნოთ.

— მინდა რომ ბილლიც სამასავით ცოცხალი და მხიარული ვნახო,—უთხრა ერთხელ ლედველმა ბავშვის დედას.— უნდა უთუოთ სასწავლებელში იაროს, სხვა ბავშვებთან ითამაშოს, თორემ აგრე სულ დადუნდება.—ისე არაფერი არ ამაგრებს და დამოუკიდებლობას არ უღვიძებს ბავშვს, როგორც თავის ტოლ-ამხანაგებში ყოფნა და თამაშობა.

— მე ძალიან მეშინიან, რომ მასხარათ არ აიგდონ, აბა შეხედეთ როგორია, სხვა ბავშვებს არა ჰგავს,—უპასუხა დედამ.—თქვენ იცით, რომ სიბრმავის გამო განცალკეებული იყო ხოლმე!

— ვიცი, ვიცი,—სთქვა ლედველმა,—აი ამიტომაც საჭიროა სხვა ბავშვებს შეეჩვიოს.

— მოწაფენი ხშირად იმისთანა ცელქები და უზრდელები არიან, რომ ამისთანა სუსტ და მოკრძალებულ ყმაწვილს, როგორიც ბილლია დასჩაგრავენ.

— მაგას ნუ ამბობთ,—მიუგო ლედველმა.—მოწაფენიც ბავშვები არიან და ბავშვები ავები არ არიან, მარტო დაუფიქრებლობით თუ რასმეს ჩაიდენენ.—მაშ კაბის ბოლოზე რომ მიიკერო, მაშინ სულ განაზდება, ძარღვები დაუსუსტდება და ეს არ ვარგა. არა, უთუოდ უნდა სადმე მივაბაროთ.

ერთ დღეს სამამ გამოუარა ბილლის და სასწავლებელში ერთად წავიდნენ. როცა დედამ კარებამდინ ჩამოაცილა და ორივე ყმაწვილებს უყურებდა—იგრძნო თუ რა დიდი განსხვავება იყო ამათში და რომ ლედველი მართალი იყო. ბილლის თვალებზე ლურჯი სათვალები ჰქონდა, რომელიც ექიმებმა უბრძანეს ჯერ კიდევ ეხმარა. გრძელი ქერა ხუჭუჭი თმა, ფერმკრთალი სახე და ლურჯი თვალები, სრულებით ვაჟს არ მიაგვანებდა. ბილლის სახეზე სიამოვნების ღიმილი უთამაშებდა და ბედნიერება რომ თვალხილულთ სკოლაში მიდიოდა.

სამა ძალიან ამაყობდა, რომ ბილლი იმის მფარველობის ქვეშ არის. მთელი გზა ლაპარაკობდა სკოლაზე, მოწაფეებზე, თამაშობაზე და სწავლაზე. ბებიამ სამას გადია გამოატანა, ეშინოდა, რომ ქუჩაში დიდი მოძრაობაა და ბავშვებს არაფერი არ შეემთხვეს. სამას ძალიან ეწყინა.

— გადია, ბავშვი ხომ აღარა ვარ?—უთხრა სამამ, როდესაც სახლს კარგა დაშორდნენ,—წადი, დაბრუნდი.

გადია არ დასთანხმდა და ამაზე ცხარე ბაასი ატყდა. ბოლოს გადიამ გამოუცხადა, რომ შორი ახლოს გაჰყვება. სამა ახლა თავისუფლათ გრძნობდა თავს და გამდელიც თვალყურს ადევნებდა, რომ გაჭირების დროს დახმარებოდა.

შუა ქუჩაში გადასვლაზე სამა ძალიან ფრთხილობდა, რომ იმის მეგობარს ეტლი არ დასტაკებოდა. თვითონ ბილლისაც ძალიან ეშინოდა ქუჩაზე გადასვლა, თუნდა ეტლიც რომ შორს ყოფილიყო, ის გაუნძრევლივ შედგებოდა.

— წადი რაღა, ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს, რომ მეორე მხარეზე გადავიდეთ.

— იცი ბილლი, როდესაც მეორე მხარეზე გადადიხარ, ერთბაშად გაიქეცი და შუა ქუჩიდამ უკან აღარ გამობრუნდე, ეუბნებოდა სამა,—თუ უცბად უკან გამობრუნდები ეტლი უეჭველად დაგეტაკება, რადგან მეეტლეს არ ეცოდინება საით მიდიხარ. თუ შედგები, ეტლი ან აგიხვევს გზას ან შედგება

და ბილლი დარწმუნებული რომ სამა გამოცდილია, პირობა მისცა რომ იმის დარიგებას მიიღებს მხედველობაში.

ერთ გადასახვევში რამდენიმე დიდრონი მოწაფე შეხვდათ. მოწაფენი მიზეზს ეძებდნენ, რომ ვისმესთვის ჩხუბი აეტეხათ. როცა ორი პატარა ბავშვი დაინახეს გამოეკიდნენ.

—აი, ლურჯ სათვალეანი! ეი, შენ, ლურჯო სათვალებიანო?

ბილლი შეკრთა და ფერმა გადაჰკრა, სამამ-კი ზიზღით შეჰხედა.

— უყურეთ,—ყვიროდნენ მოწაფენი,—ეს გოგოა ბიჭის ტანისამოსში.

— ნამდვილი გოგოა, უყურეთ მაგის თმებს!

— რა გქვიან, ჩემო კარგო!—იკითხა ერთმა მათგანმა, ის სამაზედ და ბილლიზედ ბევრად უფროსი იყო და ბილლისთან სულ ახლოს მივიდა და მხარში ხელი მოჰკიდა და ჩასციებოდა:—თქვი რა გქვიან, რა გქვიან გესმის? მშიშარა და გაუბედავი ბილლი სულ დაიბნა, მეტადრე მაშინ, როდესაც დიდმა ბიჭმა კარგა გაანძრია. ბილლის უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ამ დროს სამა მოვარდა.

— ნუ ეტყვი, ნუ ეტყვი, ბილლი! მაგათი რა საქმეა, როგორ ბედავენ?!

მაშინ მოწაფეებმა ბილლის თავი დაანებეს და სამას შემოეხვივნენ. ერთმა იმათგანმა საყელოში მაგრათ წაავლო ხელი.

— მაშ მოიცადე, მე შენ გალაპარაკებ! ერთი უყურეთ!—აბა, შენ ვიღა ხარ!

— თქვენი საქმე არ არის, გაბედულათ უპასუხა სამამ და ცდილობდა გასხლტომოდა ხელიდან.

მოწაფენი კიდევ დიდხანს გაერთობოდნენ და სამას მისტყეპამდნენ, რომ გამდელი არ წამოშველებიდა. ის მიუახლოვდა ბავშვებს დატუქსა და შეარცხვინა, რომ ამ სიდიდე ბიჭები ორ პატარა ბავშვს გამოეკიდნენ.

მოწაფეებს შერცხვათ და თავიანთ გზაზე გასწიეს. სამა-კი ისე გაბრაზებული იყო, რომ კინალამ უკან გამოეკიდა.

— როგორ არა გრცხვენიან, სამა! გინდა პირუტყვივით მივარდე მათ. შენ ადამიანი ხარ და შეგეძლო დამშვიდებული მოგელაპარაკნა და დაგერწმუნებინა. სირცხვილია აგრე თავის დავიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამა გაჩუმებული იყო, მერე სთქვა:

— მე სრულებით არ ვაპირებდი ჩხუბს, მე მეწყინა, რომ ბილლის შეურაცყოფა მიაყენეს.

— უფრო უკეთესი, შენ უნდა შეგეჩერებინა და შეგერცხვინა,—უთხრა გამდელმა. ძალიან კარგი და პატიოსანი საქციელია ამხანაგის გამოსარჩლება, მაგრამ მუშტებით არ უნდა პასუხის გაცემა—ჭკუით და სიტყვით უნდა დაარწმუნო მოწინააღმდეგე.

კარგა ხანს არიგებდა გამდელი სამას, ბოლოს ბავშვები სკოლაში მივიდენ, გამდელს გამოეთხოვენ და შევიდენ სახლში.

## XIV.

ბილლის დედა იმდენად კარგათ გახდა რომ სამუშაოს ძებნას შეუდგა.

— თქვენ ისეთი კეთილი და სულგრძელი ხართ,—ეუბნებოდა ის ბატონ ლედველს,—რომ მეტი აღარ შემიძლია თქვენი კეთილი გულით ვისარგებლო. მე ეხლა მუშაობა შემიძლია, რომ ჩემი შვილი ვარჩინო.

— რა სამუშაო გინდათ? ჰკითხა ლედველმა.

— მეც ბევრი ვიფიქრე მაგაზე. ეხლა-კი ყოველნაირი მუშაობა შემიძლია ვიკისრო, რაც-კი მამცემს საშუალებას ჩემი თავი და შვილი ვარჩინო. მას აქეთ, რაც მე ისე უცბად ავად გავხდი, უფრო ვიგრძენ რომ ქვეყნიერებაზე არიან ბევრი იმისთანა საცოდავი ბავშვები, რომელნიც სხვის მოწყალებით იკვებებიან, როგორც ჩემი ბილლი, მაგრამ ამისთანა ბედნიერი შემთხვევა ყველას არ შეხვდება. ამიტომ მე მინდა ჩემი სული და გული შევწირო იმისთანა ბავშვებს, და ამით მადლობა გადაუხადო იმ სიკეთისათვის, რომელიც ჩემ შვილს უყვეს.

— ჩინებული აზრია, — სთქვა ლედველმა.—უნდა ვეცადოთ რომ ამისთანა ადგილი ვიშოვნოთ. თქვენი გრძნობის და გულის პატრონს შეუძლია სწორეთ იმისთანა ბავშვების მოვლა, რომლებიც ბედს თავშესაფარში შეუმწყვდევია. მისთანა ადგილის შოვნას დიდი ცდა მოუნდება, მანამდინ-კი ჩემს საქმეში ჩაგაყენებთ.

ბილლის დედა მუყაითად შეუდგა მუშაობას და ერთი კვირის განმავლობაში იმოდენი ფული აიღო, რომ განლონს

თავისი და შვილის ხარჯი გადუხადა. ბილლი თან და თან ღონეზე მოდიოდა, სათვალები მოიხსნა, გასუქდა, ამხანაგებს შეეჩვია და ჩინებულათ სწავლობდა. ყველაფერი ადვილად შეიგნო, ხატვის დიდი ნიჭი გამოიჩინა. ბავშვებმა სკოლაში რომ შეიტყეს იმის ნიჭი არ ასვენებდენ და მეტადრე როდესაც ავდარი იყო და ეზოში სირბილი არ შეიძლებოდა ბილლის კლასის დაფაზე ახატვინებდენ. ისიც რამდენიმე ხაზს გაუსვამდა და ხშირად იმისთანა მშვენიერ სურათს დახატავდა, რომ მასწავლებელიც-კი აღტაცებაში მოდიოდა.

დადგა ზაფხულიც, სამა, ბებია და პაპა, როგორც ჩვეულებრივ, ზაფხულობით ხოლმე მიდიოდნენ თავიანთ მამულში ზღვის პირას, იმ პატარა ქალაქის ახლოს, სადაც ეხლა ჯეკი ცხოვრობდა. ამ ორ პატარა მეგობრებს ერთმანეთის დაშორება ძალიან ეზარებოდათ. ისინი შეეჩვიენ და ერთმანეთი შეუყვარდათ. სამა ძალიან მოწყენილი იყო. პაპამ, რასაკვირველია, ეს შეამჩნია და მიზეზსაც მიხვდა. მაშინ ლედველმა ბილლის დედას სთხოვა ისიც წამოსულიყო და მებაღის ნადგომ პატარა სახლში დაბინავებულიყო, რადგან მებაღე მარტოხელა იყო და ერთ ოთახში მოთავსდებოდა.

ამ დროს ბილლის დედამ მიიღო ის ადგილი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა. ის დილით მიდიოდა ბავშვების თავშესაფარში და მარტო საღამოთი დაღალულ-დაქანცული სახლში ბრუნდებოდა. რასაკვირველია იმას ისე არ შეეძლო მოევლო და ყური ეგდო თავის შვილისთვის როგორც უნდოდა, აქაც კეთილი და მარტოხელა განლონი დაეხმარა. ის ისე შეეჩვია და შეუყვარდა ბილლი, რომ იმისი მოშორება ეძნელებოდა და როცა ლედველმა ბილლის დედას სოფელში წასვლა სთხოვა, გადაწყვეტილი იყო რომ იმათთან ერთად განლონიც წავიდოდა.

რა ბედნიერები იყვნენ ბავშვები, როდესაც მატარებლიდამ ზღვის ნაპირა პატარა ქალაქში გადმოვიდენ. ზღვის სუფთა ჰაერი და ზღვა ალერსით მიესალმა. მზე მხიარულად ანათებდა და იქაურები ყველანი ალერსით ეგებებოდენ. სამაც თავის მხრივ ალერსით შეხვდა მათ და ოჯახის ამბავს ჰკითხავდა.

ეტლი დაიჭირეს და ქალაქის გარეთ გასწიეს. გზაზე ყველა მხრიდამ მოისმოდა:

— აა, სამა, ძლივს არ დაბრუნდი! როგორა ხარ?

სამაც მხიარულად ყველას ქუდს უხდიდა.—ცეცხლის მქრობელი ნაწილის კარებთან ძაღლი იწვა და ეტლის მოახლოვებაზე თავი მაღლა აიღო. ბილლის წინათ არ ენახა ძაღლი, მაგრამ მოახლოვებაზე იგრძნო რომ ჯეკია. ყმაწვილები გამოეხმაურენ ჯეკს. იმან ყურები აქვიტა და დააშტერდა მათ. ერთი თვალის დახამხამებაზე იმათთან მოფრინდა, სიხარულით კუდს იქნევდა წკმუოდა, სახეს ულოკავდა და უნდოდა რითაც კი შეეძლო თავისი სიხარული და ბედნიერება გამოეთქვა, რომ საყვარელი მეგობრები დაინახა.

რასაგვირველია, ცოტა ხნით მაინც უნდა შემდგარიყვენ, რომ თავის საყვარელ ჯეკთან ებაასნათ, გამოეკითხნათ. მეეტლე ცოტა ხნით შეაჩერეს. ჯეკი არ ისვენებდა, ის ხან ერთ ყმაწვილს, ხან მეორეს მივარდებოდა ხოლმე და ელაქუცებოდა.

— მითხარი, ბილლი, ჯეკი ამნაირად გყავდა წარმოდგენილი?—ჰკითხა სამამ.

— თითქმის ამნაირად, ხოლო ცოტა უფრო ლამაზი მეგონა,—უპასუხა ბილლიმ—ნეტა ვიცოდე, ჯეკი გრძნობს რომ მე ეხლა ვხედამ?

— მე მგონია რომ გრძნობს!—სთქვა დარწმუნებით სამამ.—მე შევამჩნიე, რომ ის გაშტერებული გიყურებდა.

— არც გასაკვირველია,—ჩაერია იმათ ლაპარაკში ერთი ცეცხლის მქრობელთაგანი.—ეს ისეთი იშვიათი ჭკვიანი ძაღლია, რომ მთელი ქალაქი იცნობს და ყველას უყვარს.

დიდხანს გაჩერება არ შეიძლებოდა, რადგან მეეტლეს ეჩქარებოდა სადგურზე დაბრუნება, რომ მეორე მატარებელისთვის მოესწრო.

— შენ, ჯეკ, არ დაგვივიწყო,—დაუყვირა სამამ.—მოდი ხოლმე ჩვენსა, გვნახე. ჯეკმა დაღონებით შეხედა, კუდი ჩამოუშვა, ხოლო მარტო მის ბოლოს იქნევდა, თითქოს ეუბნებოდა: მესმის თქვენი პატიჟი და დიდის სიამოვნებით ვისარგებლებო მართლაც, როცა ბავშვები სახლში მოვიდნენ, არ გასულა ხუთი წუთი, რომ ჯეკიც ახალ კვალზე მიადგა მათ.

— ჯერ რაც ჩვენში შესანიშნავია იმას გაჩვენებ,—გამოუცხადა სამამ ბილლის.

ბავშვები ჯეკის თანახლებით ახალი ბინის დასათვალიერებლათ წავიდნენ.

ჯერ საჯინიბოში შევიდნენ ვარსკვლავ შუბლიანი პატარა ცხენის სანახავათ. სამა რომ დაინახა მოუახლოვდა და მხარზე თავი დაადო, შაქარსა სთხოვდა, სამამ კარები გააღო და გარეთ გამოვიდა, ცხენი თან გამოჰყვა, სამამ ახალი ბალახი დაუგლიჯა და შაქრის მაგივრათ უთავაზა. ისიც დიდის სიამოვნებით შეექცა. ბოლოს კუდი აიბზიკა, დედამიწაზე გადაკოტრიალდა, მერე წამოვარდა, გაიბერტყა და ისევ თავის ადგილას შევიდა.

შემდეგ ბოსელში ხბოს სანახავად შევიდნენ. ხბო რამდენიმე კვირისა იყო და თითქმის იმ ცხენის სიმაღლე, მხოლოდ გრძელი და წვრილი უშნო ფეხები ჰქონდა. ხბომ ყმაწვილებს კრძალვით შეხედა თავის გრძელი კუდი აიბზიკა და სწრაფად მინდორში გამოვარდა.

აქვე პატარა ლეკვები იყვნენ, რომელნიც აქაურ მეეტლეს შემოეყვანა, სასაცილოები იყვნენ ეს ლეკვები: ბურთივით რგვალნი ადგილიდამ ძლივს ინძრეოდენ ლეკვების დედამ ჯეკი რომ დაინახა ეგონა ჩემ შვილებს ავნებს რასმესო, დაეტაკა და ძლივს გააშველეს, იქვე პატარა საკუჭნაოში დაამწყვდიეს, სადაც ცხენების მოსართავს ინახავდენ. საცოდავი გამწარებული ღმუოდა და კარებს აბრახუნებდა.

ეზოში კატის კნუტები ნახეს. ისინი ჯეკის დანახვაზე აიბურძგნენ, მოიკუნტნენ და საცოდავათ კნავოდენ.

ყმაწვილები ეზოდამ ზღვის ნაპირისკენ წავიდნენ. ზღვა უკუქცეულიყო და შორს წყალში შევიდნენ, ქვიშაზე კიბოებს იჭერდნენ. მთელი ერთი საათი ამათ ძებნას და თვალიერებას მოანდომეს. მერე ზღვის კენჭების კრეფას მოუნდნენ. რა და რა ფერისა და მოყვანილობისა არ იყო ეს კენჭები! ერთი ერთმანერთზე მშვენიერნი... მერე რა ფერადი ქვები,—რომელნიც ზამთარში ტალღებს კიდეებზე გამოეყარა ამათ ბლომათ მოაგროვეს. ბილლი ისე გაკვირვებული და აღტაცებული იყო, რომ მთელი თავისი სიცოცხლე აქ დარჩებოდა. ჯეკიც უკან დასდევდა, ყველაფერს სუნავდა და, ძალიან კმაყოფილი იყო.

— იცი, რას გეტყვი! უთხრა ბილლიმ,—აქ იმდენი მშვე-

ნიერი ქვეები და ლოკოკინებია, რომ შეიძლება მთელი კოლ-ლექცია შევადგინოთ. — რას იტყვი?

— ძალიან კარგი, — დაეთანხმა სამა, — მშვენივრათ მოვაწ-ყობთ! ჩვენ სახლში ბევრი ყუთებია, გადავარჩიოთ, ზედ ქა-ღალდები დავაკრათ, შიგ ჩავალაგოთ როგორც მუზეუმში. ჰო, ჯერ შენ მუზეუმი ხომ არ გინახამს?

ამ დროს ზარები დაირეკა, ხმა სახლიდამ მოისმოდა.

— ჩვენ გვიძახიან, — სთქვა სამამ — როდესაც ჩემი დაძა-ხება უნდათ, ყოველთვის რეკამენ. — მგონი საუზმის დროა.

ისინი სახლისკენ წამოვიდნენ. ჯიბეები და ჩასაცმელების კალთები ქვებით და ლოკოკინებით სავსე ჰქონდათ და ძლივს მოდიოდენ. ზღვის სუფთა ჰაერმა და მოძრაობამ ისე დაამშია ბავშვები, რომ დიდი სიამოვნებით და მადიანათ საჭმელს შე-ექცეოდენ; ჩქარობდენ, უნდოდათ კიდევ წასვლა და რაც ად-გილები არ ენახათ — დაეთვალიერებინათ.

დღეები შეუმჩნევლათ გარბოდენ. სამას დაბადების დღეც მოახლოვდა. ჯეკი ყოველ დღე მოდიოდა ყმაწვილებთან და მათ უკან დასდევდა. როცა ბავშვები პურის საჭმელ ოთახში შევიდოდენ ის ფანჯარასთან წამოწვებოდა და მოთბინებით ელოდა, როცა ისინი ჭამას გაათავებდენ.

— როგორ გინდა, სამა, შენი დაბადების დღე იდღესას-წაულო? — ჰკითხა ერთ დღეს საუზმის დროს პაპამ.

— მე კი ვიცი როგორც მინდა, — უპასუხა სამამ პაპას, — მაგრამ მგონია რომ ჩემი სურვილის აღსრულება ერთობ ძნე-ლი იქნება.

— მაინც, სთქვი, რა გინდა?

— გახსოვს, პაპა, ის ბავშვები, რომელნიც ბილლის ისე კარგად უვლიდენ და რომლებსაც შენ ერთხელ შაქრის პუ-რები უყიდე? იცი, მე და ბილლი ხშირად ვიგონებთ ხოლმე იმათ. ჩვენ აქ ესე კარგათ, მხიარულათ, სიგრილეში ვატარებთ დროს და ისინი კი ქალაქის სიცხეში და მტვერში იხრჩვებიან. ბილლი ამბობდა, ფულები რომ მქონდეს იმ ბავშვებს გაუგ-ზავნიდი და მოვაყვანიებდი, რომ ცოტახანს სუფთა ჰაერით ესარგებლაო. წარმოიდგინე, პაპა, ბილლი იძახის რომ იქ საცა ისინი ცხოვრობენ ძალიან შეხუთული და ცუდი ჰაერიაო!

პაპა ჩაფიქრდა.

— მოდი, — სთქვა პაპამ, — ვცადოთ, — იმათ დედ-მამას მივწეროთ. თუ გამოუშვებენ, ძალიან მოხარული ვიქნები, რომ აქ თქვენთან ორიოდე კვირა გაატარონ.

სამა აღტაცებით შეხტა — შემოტრიალდა.

— ოჰ, პაპა — დაიყვირა მან, — მაშ შეიძლება? რა კარგი იქნება, რა ჩინებული! რა კარგი საყვარელი რამა ხარ, ჩემო პაპავ!

და სამამ ვერ მოითმინა, თუმცა იცოდა რომ ბებიას არ უყვარს, როცა სუფრიდამ წამოვარდებიან ხოლმე, წამოხტა, პაპას გადაეხვია და კოცნა დაუწყო. მერე ბებიასთან გაექანა.

— მომიტევე, დიდედა, რომ წამოვხტი სუფრიდან, მაგრამ განა ჩემი ბრალია, რომ პაპა ამისთანა კარგი რამ არის? მე ყოველთვინ ვიძახოდი, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ჩემისთანა პაპა არავის არ ეყოლება.

**ეკ. მესხისა.**

(შემდეგი იქნება)

# ყოველგვარი ხარისხის და ფოდეგის ხალხი.

## ვ ა ჭ რ ე ბ ი.

(ბერლინისა)

პირველი ვაჭრები

ოდესაც აღებ მიცემობა მუდმივ და წესიერათ შემოიღეს, იმ დროს ვაჭრებიც გაჩნდენ. თავდაპირველათ ეს ხალხი საქმეს თემის მონდობილობით აკეთებდა. ისინი ამათ შუა კაცებათ იყვენ და ყოველთვის სხვა და სხვა ქალაქებში მოგზაურობდენ და თავიანთ თემის მონდობილობით ყოველი გვარის საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჰქონდათ.

სტუმართ — მოყვარეობის ჩვეულება, რომელიც ველურებს წმიდათა-წმიდათ მიაჩნიათ, ამ მშვიდ მოგზაურებს უცხო ქვეყნებში ხელ-შეუხლებლათა ხდის. აფრიკაში დაუცხრომელ ველურ მასსიებს რაც უნდა გაცხარებული ომი ჰქონდეთ ხელს არავინ არ ახლებს დედაკაცებს, რომელნიც აქ ასრულებენ აღებ-მიცემობის შუამავლობას.

ჯერ კიდევ ძველ დროის საზოგადოებაში ცალკე პირები თავიანთ კერძო სასარგებლოთ ვაჭრობას ხელს ჰკიდებდენ. როდესაც ევროპიელებმა დაიწყეს ველურების ქვეყნებში მისვლა — იმათი წინამძღოლი და უფროსი მიიღებდა ამათ ხოლმე როგორც თავის საკუთარ სტუმარს და მთელი თემის მაგივრათ იწყებდა აღებ-მიცემობას, ვაჭრობას და თეთრ კანიანების საჩუქრებს-კი თავის საკუთრებათ სთვლიდა. ასე რომ ჩვეულებრივ წინამძღოლი ხდებოდა პირველი და უმთავრესი ვაჭარი თავის თემში. მასთან ერთად უმალ მდიდრდებოდა მისი ამალაც ისე რომ ვაჭრობა თითქოს მათ საკუთარ უფლებათ ხდებოდა.

განათლებულ ხალხის ისტორიიდანაც ვხედავთ, რომ თავ-

დაპირველათ უცხოებთან ვაჭრობა წარჩინებულ კაცების ხელში იყო. სამღვთო წერილშიაც არის მოხსენებული, რომ ბრძენი გვირგვინოსანი მეფე სოლომონი იყო ვაჭარი. მან შემოიღო ვაჭრობა არა თუ მეზობელ ფინიკიელებთან—არაბისტანთან და შორეულ ინდოეთთანაც. ხომალდებს ზღვებით მოჰქონდათ აუარებელი სარჩო და აქლემების უბოლოვო ქარავანი ზიდავდა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან იერუსალიმში ძვირფასს საქონელს,—ოქრო-ვერცხლს, ძვირფასს ქვებს, არაბეთიდან სხვა და სხვა სურნელოვან ზეთებს და ინდოეთიდან ხილეულობას, სპილოს ბრჭყვიალა ძვლებს და სურნელოვან სანდალის ხეებს. მხოლო მაშინ პირველათა ნახეს მათ, იერუსალიმმა, აღმოსავლეთ ინდოეთის ცხოველები: როგორც ფრინველი ფარშევანგი თავისი საოცარი ფერადოვანი ბოლოთი და მეტათ მხიარული მაიმუნები. ამ უცხოებთან ვაჭრობით ოქროებს იღებდა მეფე და მის გარშემო უთვალავი სიმდიდრე ტრიალებდა.მისი სამეფო ტახტი მთლათ სპილოს ძვლებისაგან იყო გაკეთებული და ოქროთი მოჭედილი. გვირგვინის ძვირფასი ქვები თვალს მოსტაცებდა კაცს, როდესაც მეფე იერუსალიმის ქუჩაში მიჰქროლავდა ოქროს ტრახტრევანით აბრეშუმის ტანისამოსში გამოწყობილ ყმაწვილ კაცებით გარშემორტყმული, ხალხი ამ მეფური სიმდიდრით აღტაცებაში მოდიოდა.

რუსეთშიაც, ძველ დროში, უცხოებთან ვაჭრობა წინამძღოლ თავადების და მათი ამალის ხელში იყო. ზამთრობით ისინი მიდიოდენ დაბყრობილ ქვეყნებში ხარკის მოსაგროვებლათ და მოჰქონდათ იქიდან: თაფლი, ბეწვეულობა და ტყავები.—გზა და გზა იბყრობდენ ახალ-ახალ ადგილებს და ტყვეებს ყმებათ იხდიდენ და ნაადრევ გაზაფხულზე წინამძღოლი—თავადი ყველა ამ ნადავლით ბრუნდებოდა თავის ბინაზე—კიევში.—აქ გროვდებოდა აუარებელი სარჩო ე. ი. დაბყრობილ ადგილებიდან მოტანილი ხარკი.

სავაჭროთ მისულებს შეეძლოთ მხოლოთ ექვსი თვე ევაჭრათ და მერე-კი ისევ უკან წამოელოთ თავიანთი აბრეშუმეულობა, ბოსტნეულობა, ოქრო და კაცის გამამხიარულებელი ღვინო.

## როგორ ვაჭრობდენ უფულოთ და როგორ გაჩნდა ფული.

ძველ დროში ევროპიელები ვაჭრობდენ გაცვლა-გამოცვლით. ერთ ნაწარმოებს, ერთ საქონელს სცვლიდენ მეორე საქონელზე და ფული არ იყო ხმარებაში. ამის გამო ვაჭრობა ძნელი იყო. ხშირათ ვაჭარი ვერ შოულობდა სწორეთ იმ საქონელს, რომელიც გასაცვლელი ჰქონდა.

ერთ მგზავრს ერთხელ ასეთი საქმე დაემართა. მას ესაჭიროებოდა ნავი, მაგრამ ნავის პატრონი სამაგიეროთ თხოულობდა სპილოს ძვალს. ევროპიელს სწორეთ ეს არ მოეპოვებოდა. გამოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც ჰქონდა სპილოს ძვალი, მაგრამ ის სამაგიეროთ ითხოვდა მაუდს. ევროპიელს საუბედუროთ არც მაუდი მოეპოვებოდა. ბედზე გამოჩნდა ერთი ზანგი, რომელმაც ევროპიელს გაუცვალა მავთულზე მაუდი. მაშინ ასე მოხდა გაცვლა-გამოცვლა: ზანგს, რომელსაც ესაჭიროებოდა მავთული გამოართვა ევროპიელს და თავისი მაუდი გადასცა სპილოს ძვლის პატრონს, ამან კიდევ სპილოს ძვალი მისცა ნავის პატრონს ევროპიელს მხოლოთ მაშინ ჩაუვარდა ხელში ნავი წყალზე გადასასვლელათ.

მაგრამ წინაპარ ხალხს, რადგან ძალიან ხშირათ ჰქონდათ გაცვლა-გამოცვლა ზოგიერთი საგნები ფულის მაგივრობას უწევდენ. ეს ისეთი საგნები იყვენ, რომლებსაც ველურები ძვირათ აფასებდენ და რომლების შეძენაც ყველასთვის სანატრელი იყო. ეს ნიშნები სხვა და სხვა საქონლის ფასის გამომხატველი იყო.

თავდაპირველათ ფულის მაგივრათ სხვა და სხვა საგნებს ხმარობდენ, უფრო მოსართავებს: მძივებს, თაღლითებს, ლოკოკინებს, ან რაც ოჯახში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მაგალითათ მარილს, ხოლო იმ ქვეყნებში, საცა შემოსატანია ეს საქონელი, მაშინ მოვაჭრე მაგალითად აფრიკის ბაზარზე გაიძახის: „ამ რძეს ვყიდი ერთ კვნიტ მარილზე“. ან კიდევ: ვის უნდა ერბო ხუთ მძივზე!..

ყოველ ველურ ხალხს ჰქონდა და აქვს თავისი ფული და მის ნიმუშებს რომ თავი მოუყაროთ მთელი საისტორიო მუზეუმი გამოვა. რა არ მიაჩნდათ ფულათ! მადნები, ცხოველები,

მცენარეები, ლითონი სხვა და სხვა ადგილებში სთვლიდენ ფულათ ლოკოკინებსაც, იშვიათ ქვებს, რკინას, შინაურ საქონელს და სხვა. ზოგიერთ ნაგერის ადგილებში ახლაც დიდ საფასურათ ჩაითვლება ტანდოვანი ახალგაზრდა მონა. მისი ფასი უდრის სამ ხარს.

ოდესმე ევროპიელებთა შორისაც ყოფილა სხვა და სხვა რჩეული საქონელი, რომელიც ფულის მაგივრობას უწევდა. თუ ჩვენ დიდი ხანია დავივიწყეთ ეს ფულები ჩვენ ისტორიას კარგათ ახსოვს საიდან მომდინარეობს ახლანდელი ფული. რუსების ორშაურიანი „გრივენიკ“ წარმოსდგება სიტყვა „გრივნიდან“, რომელსაც ძველათ რუსეთში ხმარობდენ, როგორც ძვირფასს მოსართავს და ამიტომ მიიღებდენ ხოლმე ყოველ გვარ საქონლის საფასში. ძველათ რუსეთში ფულის მაგივრობას ეწეოდა ბეწვეულობა, როგორც ახლა კუნძული ალიასკის ველური მცხოვრებლები რომელიმე საქონლის საფასში, აძლევენ სამურის ბეწვს, ან კიდევ რუსეთში ადრე იცოდენ კვერნის ბეწვს ოქროებათ სთვლიდენ.

ამ გვარივე ხასიათისა იყო ფული სულ ძველ დროში სხვა ევროპიელთა შორისაც, რომაელების ფული წარმოსდგებოდა თვით სიტყვა „საქონლიდან, რადგან ხარი ითვლებოდა მათ შორის ძვირფას საქონლათ. ბევრ სხვა ხალხისთვისაც ეს იყო ფულის გამომხატველი და როდესაც რომაელებმა დაიწყეს ფულის მოჭრა ბრინჯაოდან ზედ გამოიყვანდენ ხოლმე ხარს. რადგან ამითი გამოსაცვლელ საქონელს ფასს ადებდენ.

პირველათ ევროპაში ფული შემოვიდა აღმოსავლეთიდან. ლიდიელების მაგალითით ფულს სჭრიდენ რგოლებათ სხვა და სხვა მადნეულობიდან. უძველეს დროიდან ბრძენი აღმოსავლეთი მასწავლებლათ იყო ახალგაზრდა ევროპიელებისთვის ყოველ გვარ წარმოებაში, ვაჭრობის ცოდნაც მათი ხელმძღვანელობით ხდებოდა.

**ან. წერეთლისა.**

(შემდეგი იქნება.)

# ორი ბავშვი.

(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან)

(თარგმანი)

ამთრის მოკლე დღე მიწურულიყო. უცხოელო მზე სისხლისფერი წითელი ბურთივით ჩაესვენა ჰორიზონტზედ და თავისი უკანასკნელი სხივებით ოქროს ფრად ააბრჭყვიალა ჯვარი სოფლის ეკლესიის გუმბათზე. ცაზედ სქელი ტყვიის ფერი ღრუბლები,—მომასწავებელნი ცუდი ამინდისა, გროვდებიან. გზაზე თავისუფლად დათარეშობს ქარი.

სოფლის განაპირა დგას ხის სახლი—ეს არის ექიმის სადგომი, მოშორებით მისგან ჩირგვებსა და ხეებში დგას ორ სართულიანი ხის შენობა—სასოფლო საავათმყოფო, მას გარშემო აკრავს შეთოვლილი დიდი ბაღი.

მთელი გროვა ყვავებისა და ყორნების დასტრიალებენ ბაღის ხეებს.

ღამდება... თან და თან ბნელდება თოვლით შებარდნულ სოფლის ქოხებში აქა-იქ გამოჩნდა სინათლე; აი საავათმყოფოს ფანჯრებიც და ექიმის ბინაც განათდა.

ბოლოს სრულებით დაღამდა. სიბნელემ სწრაფათ მოიცო არე მარე.

ექიმის ბინაზე, ბავშვების პატარა ოთახში, ოდნავ ბჟუტავს პატარა სანათი. ოთახში წამლების სუნი დგას, ირგვლივ სიჩუმეა, ამ სიჩუმეს არღვევს მხოლოდ ავათმყოფი ბავშვის ხრინწიანი მძიმე სუნთქვა და ღრმა ოხვრა ბავშვის მამის, ექიმისა, რომელიც მიჯდომია მძიმე ავათმყოფ შვილის სართუმალთან—და არ აშორებს თვალს საყვარელ არსებას. საბრალოთ მოხრილა ექიმი წელში, მის სახეს საშინელი ტანჯვის და სასოწარკვეთილების გამომეტყველება ეტყობა. გამოუთქმელი ტანჯვა გამოიხატება მის თვალებში, რომელნიც საკოდავათ მიუპყრია თავის სულთ მობრძავი შვილისათვის, ბავშვი ბო-

დავს, კვნესის. აი ბავშვი შეინძრა, ახრიალდა; ექიმი წამოდგა და დააშტერდა მწუხარე ბავშვს.

—„მამა, მამა, ჩემო საყვარელო მამა, მი'შველე, ველარ ვსუნთქავ, ვიხრჩობი, მოვკვდები მამა, მოვკვდები, არა?

—„არა ჩემო ძვირფასო ვანო, ჩემო მტრედო, მე შენ არ მოგკლავ, ღმერთი არ წამართმევს ჩემს სიცოცხლეს არ მომაშორებს ჩემს სიხარულს, ჩემს იმედს, ნუგეშს!“

ასე ეუბნებოდა საბრალო მამა შეკავებული ქვითინით და გულში იკრავდა შვილს.

ხუნაგი გაუძნელდა, ბავშვის გადასარჩენათ საჭირო იყო დაუყონებლათ ოპერაციის გაკეთება და მამამ შვილს გაუკეთა ოპერაცია.

—

ბნელი ზამთრის ღამეა. შავმა ღრუბლებმა დაფარეს მთვარე, არა სჩანს არაფერი გარშემო...

სამარესებური სიჩუმეა... დრო გამოშვებით საშინელის გრიალით დაჰქროლავს ცივი ქარი, აატრიალებს თოვლს ჰაერში და მიაყრის ფანჯრის შუშებს.

სოფელს დიდი ხანია სძინავს, არსად სინათლე არა სჩანს, მხოლოდ ექიმის სახლში და საავათმყოფოს ფანჯრებიდან მოსჩანს სინათლე.

ყველა ღრმა ძილშია ექიმის სახლში, სამზარეულოში ხვრინავს მზარეული დედაკაცს, საწოლ ოთახში თვლემს შვილის მოვლით დაქანცული დედა ექიმის მეუღლე.

ერთობ ყველგან სიჩუმეა, მხოლოდ სასტუმრო ოთახში მოისმის საათის ერთგვარი, შეუჩერებელი: ტიკ-ტაკ. ქუჩიდან მოისმის ქარის ღმუილი.

არ სძინავს მხოლოდ ექიმს, ის უზის თავთ ავათ-მყოფს შვილს და არ აშორებს მას თვალს.

ექიმის თავში ათასი ფიქრები ერევა.—მას თვალწინ ეხატება ერთი მეორეზე მწუხარე სურათები ერთი მეორეზე საშინელი მოჩვენებები. იგონებს მრავალ შემთხვევებს ბავშვების ავათმყოფობისას, რომლებიც მას თავის ექიმობის დროს შეხვედრია. აგონდება მას რამდენი ბავშვი ამ გვარ ავათმყოფობის აგან გადურჩენია თავისი მარჯვე წამლობით, ამ ფიქრების დროს ექიმს სახე უბრწყინდება, იმედი ულიმის, მაგრამ ცო-

ტა ხნის შემდეგ ისევ წინ შავი ფიქრები წარმოუდგება, ისევ ტანჯვა, სასოწარკვეთილება გამოიხატება მის დატანჯულ სახეზე.

—

შუა ღამეა. მიუხედავათ იმისა რომ სასტიკი ქარი ქროდა და საშინელი სიბნელე იყო, სოფლის გზაზე რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხენი მოაჭენებდა მარხილს, რომელშიაც იჯდა ტყაპუჭში გახვეული სოფლის კაცი ბანჯღვლიანი ქუდით; ეს იყო გლეხი იაკობი, რომელიც მახლობელი სოფლიდან, ექვსი ვერსის სიშორიდან მოდიოდა.

იაკობს შვილი, პატარა სიმონიკა, ხუნაგით ავათ გაუხდა, ბავშვი სულ გალურჯდა, ძლივს-ღა სუნთქავდა, მამა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მხოლოდ ხსნას ექიმისაგან მოელოდა და კიდეც გაექანა მისკენ ამ საშინელ ზამთრის ბნელ ღამე'ში.

შუა ღამე შეიქნა როცა იაკობმა გაჩერა მარხილი ექიმის სახლთან და დაუკაკუნა სამზარეულოს ფანჯარას. სიჩუმეა. არა ისმის რა სამზარეულოდან. იაკობმა ხელ-ახლა უფრო ღონივრად დააკაკუნა ფანჯარას ისევ სიჩუმეა.

— ღმერთო ჩემო, წაილაპარაკა საწყალმა გლეხმა, ოღონდ კი არ დამიგვიანდეს, ბავშვი არ დამეხრჩოს, სულის მოთქმა ხომ მეტად უჭირს! ჩქარა უნდა მივგვარო ექიმი, იქნება ეშველოს რამე ჩემს ბიჭიკოს! და ხელ-ახლად რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაარახუნა ფანჯარაზე.

— „ვინა ხარ მანდ?“ მოისმა შეშინებული ხმა მზარეული დედაკაცის მატრონასი

—«გააღე ჩქარა, თუ ღმერთი გწამს, ექიმი მინდა, ძალიან საჭიროა! ჩქარა, ნუ მიგვიანებ, გააღე კარი, შე დალოცვილო!»

— «მითხარ ვინა ხარ.»

— დაგწყევლოს დმერთმა, შე სულელო, მე, მე.

— ოჰ,— ვინა ხარ მითხარ? გეკითხები.

— იაკობი, იაკობი ვარ, ჩქარა, ჩქარა შემიშვი ექიმთან, ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

დედაკაცმა ბურტყუნით გააღო კარი, მოუკიდა სანათს.

იაკობმა შედგა ფეხი თუ არა, ჩვეულებისამებრ გადიწერა პირჯვარი ხატებზე, სალამი მისცა მატრონას, რომელიც

ძრიელ უკმაყოფილოთ იდგა შუა ოთახში, იქექდა თავს და გულში სწყევლიდა ტკბილი ძილის დამფთხობს.

— „გამარჯობა ბატონო, აბა ჩქარა ექიმთან შემიყვანე.

— რათ გინდა ექიმი?

— ბავშვი გამიხდა ძრიელ ავათ ყელის ტკივილით, ლამის დაირჩოს, მიუგო იაკობმა.

— ერი-ჰაა, ნუ იფიქრებ რომ ბატონი წამოგყვეს, მასაც უკვდება თავისი ღვიძლი შვილი მაგგვარი ავათმყოფობით! ფერშალთან წადი, ძამიავ!

— რათ მინდა შენი ფერშალი! მე ექიმისთვის მოვედი? წადი საჩქაროთ შეატყობინე ექიმს! მოცდა არ შეიძლება, ყოველი წამი ჩემთვის ძვირფასია.

— წადი, წადი ფერშალთან, დაუყვირა მოთმინებიდან გამოსულმა მზარეულმა დედაკაცმა, ბატონი ვერ წამოგყვება, არ სცალია შენთვის, ტყვილა დროს ნუ ჰკარგავ და ხალხს ძილს ნუ უფრთხობ.

— „რა გაუგებარი რამ არის ეს ოხერი დედა კაცი, თუნდ ქვა დაახეთქე თავში ეს მაინც თავისას გაიძახის, გაიგონე რასაც გეუბნები, ჩქარა.

მოახსენე ექიმს, იქნება წამოვიდეს, არ იცი შენ, რომ ეს მისი პირდაპირი მოვალეობა არის, ხმა მაღლა დაუყვირა იაკობმა,—თუ შენ ეხლავე არ შესულხარ ექიმთან მე თვითონ გავიგნებ გზას!

ამ სიტყვებით დააპირა სამზარეულოდან შესულიყო პირდაპირ ექიმთან. მზარეული დედაკაცი წინ გადაეღობა და დაუყვირა, „სად მიდიხარ, საით, შე ტუტუცო შენა!“

ამ ხმაურობამ მიაღწია ექიმის ყურამდის, ის გამოვიდა ოთახიდან.

— რა ხმაურობაა? შენ რა გინდა აქ ძმაო, დაეკითხა იაკობს.

— ჩემო ბატონო, ვედრებით უთხრა გლეხმა, შენთან გიახელი, შვილი მიკვდება ყელის ტკივილით, ლამის დაირჩოს ველარ სუნთქავს, დედაც თავზედ აკვდება, მიშველე ბატონო, გადამირჩინე შვილი, მეტი არა მყავს-რა.

— დიდის სიამოვნებით გიშველიდი, ჩემო კარგო, სხვა დრო რომ იყვეს, ეხლა რა ვქნა, ჩემი შვილიც აგერ სიკვდილ-

ზეა მიღწეული, ჩემი მასთან ყოფნა აუცილებელია—წადი, ძმაო ფერშალთან!

— ფერშალი უკვე იყო, მაგრამ ვერა გააწყო.რა! ეხ! ჩემო უბედურო თავო! წაილაპარაკა იაკობმა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვინდა. ეტყობა, ღმერთს უნდა ჩემი ბიჭის სიკვდილი! ხრინწიანის ხმით წარმოსთქვა გლეხმა. აიღო ქუდი და დააპირა გარეთ გამოსვლა. ექიმის გულში ატყდა საშინელი სულიერი ბრძოლა. ერთის მხრით მშობლიური სიყვარული შვილისადმი, შიში, საშინელი შიში შვილის დაკარგვისა, როგორ უნდა დაეტოვებინა შვილი, იცოდა კარგათ რომ ყოველ წამში საჭირო იქნება ექიმის შველა-დახმარება. მეორეს მხრით მოვალეობა, უმაღლესი მოვალეობა კაცთ-მოყვარეობისა, რომელიც იწვევდა მას ეხლა მომაკვდავ სხვის ბავშთან.

მაგრამ ბოლოს ექიმის გულში გაიღვიძა სვინიდისმა, და პირად ბედნიერებას და შვილის სიყვარულს მოვალეობამ დასძლია.

„როგორ, უნდა ვეცადო ჩემი შვილი გადავარჩინო, სხვისი-კი სიკვდილისთვის გამოვმეტო, როცა იქნება შესაძლო იყოს მისი მორჩენა: ეს ხომ მეტის მეტი თავმოყვარეობა და უადამიანობა იქნება.“

— მომითმინე ცოტა! მე ახლავ მზათ ვიქნები! უთხრა გადაჭრით ექიმმა მიმავალ გლეხს; შევიდა ბავშვთან, ჩუმად გააღვიძა მისუსტებული, დატანჯული ცოლი და გამოუცხადა, რომ მოვალეობა აიძულებს დასტოვოს მომაკვდავი შვილი მის მზრუნველობის ქვეშ და თვითონ-კი მიეშურება სხვისი ბავშვის სიკვდილიდან დასახსნელათ.

შემდეგ მივიდა ავათმყოფის საწოლთან, ფრთხილათ აკოცა შუბლზედ, მოიწმინდა თვალებიდან ცრემლები, რამდენიმე ხანს ხარბათ დააცქერდა საყვარელს სახეს და სწრაფათ გავარდა ოთახიდან.

(შემდეგი იქნება)

**ივლ. ნაკაშიძისა.**

# თაგის მოვლა.

ერთი უპირველესი მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს. უსუფთაობა, სიბინძურე, საშინლათ უყვარს ქართველ ადამიანს, მაგრამ ამ მხრივ ბაცილას ვერავინ ვერ შეედრება. ყოველგვარ სიბინძურეს ბაცილა ისე ეტანება, როგორც ზაფხულში ღორი და კიმეჩი წუმპეს.

რატომ? იმიტომ რომ საცა სიბინძურე და უსუფთაობაა, იქ ბლომათ მოიპოვება ბაცილასათვის საზრდო. ბაცილა არცა ჰხნავს, არცა სთესავს, ყლაპვა-კი უფრო უყვარს, ვიდრე ზარმაც ვანოს მაწვნის ჭამა. ის სიბინძურეს დაეძებს და, როცა ადამიანის სხეულში არ არის, სიბინძურეს არა შორდება: აქ ბინადრობს, სოცოცხლობს, საზრდოობს და მრავლდება.

ამიტომ ვისაც უნდა, სხვა და სხვა სნეულებისაგან თავი დაიფაროს, იმან სისუფთავე უნდა შეიყვაროს.

ჩვენ ვკითხულობთ, ვსწერთ, ვმუშაობთ, სხვა და სხვა საგანს ვკიდებთ ხელს,—ხელები ხშირათ გვესვრება. ამიტომ ხელებს ხშირათ უნდა ბანა საპნითა და წყლით.

ვთქვათ, დაათვალიერეთ ხელები და დაინახეთ, რომ ისინი საკმაოთ სუფთა არიან. განგებ დაიბანეთ მაინც ხელები, საპნით ნაბანი სუფთა ჭურჭელში მოაგროვეთ, დაუკვირდით და დარწმუნდებით, რომ ეს ნაბანი ჭუჭყისაგან მღვრიე იქნება.

მაშასადამე ხელები მაშინაც-კი ჭუჭყიანი ყოფილა, როცა ისინი სუფთათ გვეჩვენება, და რაღა უნდა იყოს მაშინ, როცა ხელები გასვრილია!

არც ერთი ადამიანი პურის საჭმელათ არ უნდა დაჯდეს ხელ დაუბანელი. როცა ხელი ჭუჭყიანია, თითებზე სხვა და სხვა ბაცილებია ჭუჭყთან ერთათ. ხელით ვიღებთ პურს, სხვა და სხვა საჭმელსა და ვიდებთ პირში. საჭმელთან ერთათ თითებიდან პირში გადადიან სხვა ღა სხვა ბაცილები და აჩენენ ამა თუ იმ სნეულებას.

რაც უნდა კარგათ გამოირეცხოთ, პირი საჭმლის მიღების შემდეგ, შიგ სულ ცოტა ნაწილი მაინც დარჩება საჭმლისა. პირში ის იხრწნება და შიგ მრავლდებიან ბაცილები; ამიტომ როგორც ყოველი საჭმლის მიღების წინ, ისე შემდეგაც პირს ულათუოთ უნდა გამორეცხა კარგათ. პირის უსუფთაობას შედეგათ მოსდევს პირის დაიარავება, ღრძილების დასიება და დაჩირქება, პირში ჭლექის გაჩენა და კბილების გაფუჭება, პირის სიმყრალე. ზოგიერთ ადამიანს ჩვეულებათა აქვს კბილების ჩხირკნა ნემსით შიგ ჩარჩენილი საჭმლის გამოსაღებათ. ნემსით კბილების ჩხირკნა მავნებელია როგორც კბილებისათვის, ისე ღრძილებისათვისაც. საუკეთესოა ამგვარ შემთხვევაში ფთა ან ხის ჩხირი.

დღეში ერთხელ დაწოლისას საჭიროა კბილების დასუფთავება თეთრი ფხვნილით და კბილების სახეხით.

ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ ტკბილეულობა. მავნებელია თუ არა ბევრი ტკბილეული კბილებისათვის?

რაც უნდა კარგი იყოს ესა თუ ის საჭმელი, უზომოთ იმისი მიღება ზარალის მეტი არაფერი მოჰყვება შედეგათ. ტკბილეულობა ადვილათ იხრწნება პირში და მას ძალიან ეტანებიან ბაცილები. ტკბილეულობის შეჭმის შემდეგ პირში ულათუოთ დარჩება მცირე ნაწილი მაინც. ამიტომ ყოველგვარი ტკბილეულობის შეჭმის შემდეგ ულათუოთ საჭიროა პირის გამორეცხა კარგათ, თორემ სულ მალე შეიძლება კბილების დასნეულება.

საუკეთესო ტკბილეულია ხილი და თაფლი. სხვა და სხვა საღებავით შეღებილ კამფეტებს-კი ზარალის მეტი არა მოაქვთ რა, ყოველგვარი ხილეული კარგია და სასარგებლო მხოლოდ საჭმლის შემდეგ და არა დილით უზმოზე. გამონაკლს შეადგენს ყურძენი, დილით ძალიან სასარგებლოა კარგათ დამწიფებული ყურძენი პურით.

დაუკვირდით თქვენს ფჩხილებს და დაინახავთ, რომ ქვეშ აქა-იქ ჭუჭყია. ზოგიერთს ხომ ნამეტანი ჭუჭყისაგან ფრჩხილები სულ ჩაშავებული აქვს. ამგვარ ფრჩხილებში მთელი სახელმწიფოებია ბაცილებისა თავისი ციხე-სიმაგრეებით. იმიტომ ფჩხილებს ხშირათ უნდა გამოწმენდა, რომ შიგ უსუფთაობა არ დაგროვდეს. რაც უფრო გძელია ფჩხილი, მით უფრო მე-

ტი გროვდება შიგ ჭუჭყი; რაც უფრო მოკლეა, მით უფრო ცოტა ალაგი რჩება ჭუჭყისათვის. ამიტომ ფჩხილები არ უნდა დაიზარდოთ და კვირეში ერთხელ მაინც უნდა დაიჭრათ დანით ან მაკრატლით.

რადგანაც ყურებს ნაკეცები აქვს, ამიტომ ნაკეცებში ბლომათ გროვდება მტვერი და ჭუჭყი. აბა ზარმაც, უსუფთაო ამხანაგებს გაუსინჯეთ ყურები! ბევრს ჭუჭყითა აქვს გამოტენილი. ჭუჭყში მრავლდებიან ბაცილები და იწვევენ ყურის დაჩირქებას. ყურის დაჩირქება ცუდი ავადმყოფობაა. ხან და ხან მალე არა რჩება და ადამიანს აყრუებს. არის ისეთი მაგალითებიც, როცა ყურების დაჩირქება იწვევს ტვინის ანთებას და ადამიანსა ჰკლავს. ამიტომ ყოველ დღე პირის დაბანის დროს საჭიროა ყურების კარგათ გამობანა და შემდეგ პიოსახოცით გამოწმენდა და გამომშრალება.

იქ, საცა პირის მოვლაზე ვლაპარაკობდი, ერთი რამ გამომრჩა: ზოგიერთი ბავში უცებ გადაყლაპავს საჭმელს და წამოხტება ზეზე. ამგვარი ჩვეულება მეტათ მავნებელია. სულწასულობა, აჩქარება არავითარ საქმეში არ ვარგა. ყოველ იჯრის დროს საჭიროა ნელა ჭამა და საჭმლის კარგათ დაღეჭვა. როცა ადამიანი ჩქარობს და საჭმელს კარგათ ვერა ჭღეჭავს, დაუღეჭავი საჭმელის მონელება კუჭს ჯაფას აყენებს; ზედმეტი ჯაფა-კი კუჭსა ჭღალავს, ასუსტებს და ბოლოს ასნეულებს.

ნამეტანი ცხელი საჭმელი მავნებელია როგორც ღრძილებისა და კბილებისათვის, აგრეთვე კუჭისათვის. ნამეტანი ცივი საჭმელიც მაზიანებელია.

სხვა და სხვა გადამდებ სენს ხშირათ იწვევს უსუფთაო საჭმელი და განსაკუთრებით ხილი. როცა ხილი ჭუჭყიანია, მას ბლომათ აკრავს ბაცილები; ხილთან ერთათ ბაცილები გადადიან ადამიანის აგებულებაში და ასნეულებენ მას.

ამიტომ ყოველ ადამიანს ჩვეულებათ უნდა ჰქონდეს: გაურეცხელი ხილი არ უნდა სჭამოს და გარეცხის შემდეგ უსათუოთ უნდა გათალოს ის ხილი, რომლის გათლაც კი შეიძლება.

მე რომ პატარა ვიყავი, ბლის კურკა არასოდეს არ გამომიგდია პირიდან,—კურკიანა ვყლაპავდი. ზოგჯერ ბავშვები

ერთმანერთს დავეჯიბრებოდით და ქლიავისა და ატმის კურკასაც-კი ვულაპავდით. ვიცი, რომ ახლაც ასე იქცევა ზოგიერთი ბავშვი. ამგვარი ჩვეულება იმდენათ მავნებელია, რომ ზოგს სიცოცხლეთ უჯდება. კურკის მონელება კუჭს არ შეუძლია და, როცა კუჭს კურკით ვავსებთ, ამით მას მხოლოდ ჯაფასა ვმატებთ და ტყუილ-უბრალოთ ვქანცავთ. შესაძლებელია, კურკა გაეკვეხოს ბრმა ნაწლევში. ამ შემთხვევაში ადამიანს უჩნდება ბრმა ნაწლევის ანთება და ხშირათ კვდება კიდეც.

შესაძლებელია, მსხვილი კურკა ქლიავისა და ატმისა საყლაპავ მილში გაეჩხიროს ადამიანს, ყელი დაუჩირქოს, გაუხიოს და მოჰკლას. მე ვიცი რამოდენიმე მაგალითი, როცა ბავშვს ყელში ატმის კურკა გასჩრია და მომკვდარა, აპერაციითაც ველარ გადურჩენიათ.

პირის ბანა უმეტესობას ჩვეულებათა აქვს გადაქცეული და უბრალოთ თუ დაისველა ლოყები და შუბლი, საკმარისათ მიაჩნია. პირის ბანის მიზანი პირისახის სისუფთავეა. ამიტომ დილით საპნითა და წყლით უნდა დაიბანოს პირი ადამიანმა, დაწოლისას-კი მარტო წყლით. ზამთარში ძალიან ცივი წყლით პირის დაბანა არ ვარგა: ოთახში მოთეული წყალი უნდა იყოს. პირის ბანის დროს კარგათ უნდა დაბანა კისერს, ყელს, ყურებს, ცხვირს, თვალებს და შემდეგ კარგათ შემშრალება. პირის ბანის დროს თმის ძალიან დასველება არ არის საჭირო. სიარულის დროს ფეხებში მტვერი შედის, ფეხი ოფლიანდება და ამიტომ მალე ჭუჭყიანდება. უსათუოთ საჭიროა, რომ ყოველმა ადამიანმა დაწოლისას ყოველ დღე ფეხები დაიბანოს ზამთრობით ნელ-თბილი წყლით, სხვა დროს-კი ცივი წყლით.

მტვერი გვეკვრის ტანზე, ჩადის თავში. ამის გამო მთელი სხეული ჭუჭყიანდება. ჭუჭყი ედება საცვლებსაც. ამიტომ კვირეში ერთხელ უსათუოთ საჭიროა მთელი ტანისა და თავის დაბანა თბილი წყლითა ღა საპნით და საცვლების გამოცვლა. ზაფხულობით, როცა ჰაერი საკმაოთ გამთბარია, ცივ-წყალშიაც შეიძლება საპნით ტანის დაბანა. მაგრამ რადგანაც ზაფხულობით ადამიანს მეტი მტვერი ედება და ოფლიანდება, ამავე დროს-კი ცივი წყალი ისე კარგათ ვერ იღებს ჭუჭყს, როგორც თბილი, ამიტომ ვინც ცივ-წყალში იბანს საპნით

ტანს ზაფხულობით, კვირეში ერთხელ დაბანა არა კმარა,— ორჯერ დაბანაა მაინც საჭირო.

რამდენათაც საჭიროა სხეულის სისუფთავე, იმდენათვე საჭიროა სისუფთავე ბინისა, საცა ჩვენა ვცხოვრობთ. ფანჯრის ჩარჩოს რომ მტვერი მოაცალოთ და გასინჯოთ, დარწმუნდებით, რომ შიგ ათასნაირი ბაცილები ბუდობენ მილიონობით. ამ ბაცილებში ბევრი ისეთია, რომ მათ ადამიანი ვერ გადურჩება, თუ თავის სხეულში შემოუშვა და მოამრავლა. ამიტომ დილით ადგომის წინ და საღამოთი დაწოლის წინ უსათუოთ კარგათ უნდა დასუფთავება ოთახებს. კვირეში ერთხელ-კი დასაძინებელი ოთახის იატაკი და ფანჯრები კარგათ უნდა გაირეცხოს თბილი წყლითა და ნახერხით, ან საპნით. რადგანაც ოთახში ჰაერი ფუჭდება სუნთქვისა გამო, საჭიროა ნახევარი საათით მაინც ფანჯრების დაღება დილით ადგომის შემდეგ და საღამოთი დაწოლის წინ.

ზაფხულობით დასაძინებელ ოთახში ფანჯრები სულ ღია უნდა იყოს ერთ მხარეზე. მოპირდაპირე მხარეზეც თუ ფანჯრები და კარია ოთახში, ისინი არ უნდა დააღოთ, რადგანაც მაშინ გამკრავი ქარი გაჩნდება ოთახში და, შესაძლებელია, ავათ გაჰხადოს ვინმე. თუ სახლს ბალკონი აქვს, ზაფხულობით ბალკონზე წოლა ძალიან კარგია.

რადგანაც დილით ადრე ჰაერი სუფთაა და სასარგებლო, ამიტომ ყოველმა ადამიანმა უნდა ისარგებლოს დილის ჰაერით. ამისათვის საჭიროა ადრე ადგომა—მზის ამოსვლისას. ვინც გვიან დაწვება, ის ადრე ვერ ადგება. ადრე დაწოლა და ადრე ადგომა აუცილებლათ საჭიროა ადამიანისათვის რაც უფრო თავისუფლათ არის ადამიანი ლოგინში, მით უფრო მოსვენებულათ დაეძინება. იმიტომ ლოგინში არაფერი არ უნდა გქონდეთ მოჭირებული და, თუ სრულებით შიშველი დაწვებით, უმჯობესია. ძალიან მაღლა თავის დადება ან ზურგზე ძილი არ ვარგა, არც მუცელზე დაწოლა. უნდა ისე მიაჩვიოთ თავი, რომ ხან ერთ გვერდზე იწვეთ, ხან მეორეზე.

ბუმბლით გატენილი ბალიში თავს ძალიან ახურებს და მავნებელია; საუკეთესოა რბილი ბალახით (ზღვის ბალახი) ან ცხენის ძუით გატენილი ბალიში.

ბევრს უყვარს ლოგინში ნებივრობა დილით გამოღვიძე-

ბის შემდეგ, რაც მეტათ მავნებელი ჩვეულებაა. გაახელთ თუ არა დილით თვალს, მაშინათვე უნდა წამოდგეთ ზეზე, ჩაიცვათ, პირი დაიბანოთ და გარეთ გაისეიროთ. თუ ახლოს ტყე არის და ტყეში გახვალთ, კიდევ უფრო სასარგებლოა.

ძილის დროს ლაჯებში ხელის დატანება მავნებელია ვისაც ესა სჩვევია, უსათუოთ უნდა გადაეჩვიოს.

თუ კუჭი ან შარდის ბუშტი ადამიანს სავსე აქვს, მოსვენებული ძილი ყოვლათ შეუძლებელია. თუ ძილი მოუსვენარია, მეორე დღეს დაქანცული ადგებით. ამიტომ საღამოთი ბევრი ჭამა და სმა მავნებელია. რვა საათის შემდეგ საღამოთი აღარაფერი აღარ უნდა სჭამოთ და არც დალიოთ.

ადამიანის ჯანმრთელობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასმელ-საჭმელს. ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო, ამბობს ქართული ანდაზა. ბევრმა იცის, რა არის სასარგელო სასმელ-საჭმელში, მაგრამ ხელი არ მიუწვდება. ბევრი-კი სწორეთ იმიტომა სჭამს საზარალო საჭმელსა და სვამს საზარალო სასმელებს, რომ შეძლება აქვს.

საუკეთესო საჭმელია რძე, მაწონი, კვერცხი, კარაქი, ყველი, ყოველგვარი სამარხო, მწვანილი და ხილი. ვისაც შეუძლია, ყოველივე ეს იხმაროს, მისთვის ხორცი არავითარ საჭიროებას არ შეადგენს. ყოველ შემთხვევაში ნიადაგ ხორცის ჭამა მავნებელია.

საჭიროა თუ არა ჩაი, ყავა, არაყი, ღვინო და თუთუნი?

ხანში შესულ ადამიანსა და მუშა კაცს მაგარი სასმელი — ზომაზე მიღებული — ცოტაოდენ ხალისსა ჰმატებს, სხვებისათვის-კი მაგარი სასმელები მავნებელია. ახალგაზრდა არავითარ მაგარ სასმელს არ უნდა გაეკაროს, ლოთობა ადამიანს ამცირებს, არცხვენს და პირუტყვათა ჰხდის. ლოთობა ადამიანს ურყვნის მარტო სხეულს კი-არა სულსაც: ის ასნეულებს გულს, ძარღვებს, კუჭს, ღვიძლს, ტვინს, აჩლუნგებს გონებას, მეხსიერებას, ნებას, ზნეობას და ადამიანში დაბალ, პირუტყვულ გრძნობებს აღვიძებს.

**ივ. გომართელი.**

(შემდეგი იქნება)

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

# სახალხო გაზეთი

ეროვნულ-დღიური სამოქალაქო და სალიტერატურო გაზეთი

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ორველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანათ:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ეჯღვან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

**რედაქციის ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети".

---

## ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

# „Закавказье"

**(Годъ VI-й).**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Съ доставкой въ Тифлисѣ: | | Съ пересылкой въ другіе города: | |
|---|---|---|---|
| На годъ . . . | 6 р. — к. | На годъ . . . . | 8 р. — к. |
| На полгода . . | 3 р. 50 к. | На полгода . . . | 4 р. 50 к. |

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

*Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.*

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

# ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

## ოცდა მეორე წელიწადი.

**მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის**

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილება, ზღაპრებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ეღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მისეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

---


**Открыта подписка на 1911 годъ**

**НА ГАЗЕТУ**

# „Закавказская Рѣчь“

**Подлисная цѣна**

| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисѣ. | Въ провинціи. |
|---|---|---|
| На годъ . . . . . | 6 руб. — коп. | 8 руб. — коп. |
| „ полгода . . . . . | 3 руб. 50 коп. | 4 руб. 50 коп. |
| „ 3 мѣсяца . . . . | 2 руб. — коп. | 2 руб. 25 коп. |
| „ 1 мѣсяцъ . . . . | — 75 коп. | — 75 коп. |

**АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.**

**Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.**

Редакторъ **Р. Д. Бебіевъ.**

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. І. Амираджиби.